# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 20 მაისი 2005 №111 (2434) ფასი 50 თეთრი



## ფიგუ რეალს დაემუქრა

რატომ არ ათამაშებენ მადრიდში პორტუგალიელს?

5



## ვერცხლით საღერღელაშლილები

მწვრთნელი უკრაინულ საწყალბურთო შთაბეჭდილებებზე

14



## გამტკბარი ამსტერდამი

თბილისელთა ნადავლი — 5 მედალი

14

# სამშაბათს ქართული სუპერფინალია

ფინალური სერიის ოთხი მატჩი მიილია და ჩემპიონი ისევ არ ჩანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ავიამშენსა“ და სტუ-ს ბოლო, გადამწყვეტ შეხლაში მოუწევთ მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის უძლიერესი გუნდის გამოვლენა.
გუშინდელი მატჩი ფინალური სერიის ყველაზე უინტერესო თამაში იყო, რაკი ბოლო ხუთ წუთზე მეტმა ისე ჩაიარა, გამარჯვებული უკვე ცნობილი იყო. ლევან მოსეშვილის „ავიაციამ“ ბომბდამშენივით გადაუფრინა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს და ყველას დაანახა, რომ ამ წყვილში ფავორიტი არ არსებობს.
მაშ ასე, დადგა გადამწყვეტი მატჩის ჟერიც, რომლისთვისაც მეტისმეტი დაძაბულობისა და მნიშვნელობის გამო უპრიანი იქნებოდა, სუპერფინალი გვეწოდებინა. ჰოდა, ასე ვთქვათ: მომავალ სამშაბათს ქართული სუპერფინალია...



# გახდება ხიზანიშვილი კობიაშვილის თანაგუნდელი?



გლაზგოს რეინჯერსის ქართველი მცველის აგენტმა ივან ბენეშმა გერმანული ინტერესი დაადასტურა: შალკე და ჰამბურგი

# ხიზანიშვილს ბუნდესლიგა უყურებს

## ბენეში შალკეს და ჰამბურგს ადასტურებს



ზურაბ ხიზანიშვილს 9 იანვრის მერე არ უთამაშია „რეინჯერსის“ პირველ გუნდში და სათამაშო ჟინს, ასე თუ ისე, სარეზერვო გუნდში იკლავს. უთამაშებლობის მიზეზად ჯერ ის მიიჩნეოდა, რომ ზურა „რეინჯერსის“ მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე ყოყმანობდა, მაგრამ თებერვალში ხიზანიშვილმა მაინც მოაწერა ხელი ახალ ხელშეკრულებას, რომლითაც ის გლაზგოელებს 2008 წლის ზაფხულამდე ეკუთვნის.

თუმც ხიზანიშვილი „ჩაფრების“ მენეჯერ ალექს მაკლიშს სასტარტოში კი არა, სამატჩო განაცხადშიც აღარ შეჰყავს. ბუნებრივია, ზურა სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრობს, მაგრამ როგორც თავად გვითხრა, შესაძლოა, „რეინჯერსში“ დარჩენაც გადაწყვიტოს. მისი აგენტი ივან ბენეში კი, ყოველი შემთხვევისთვის, ახალ გუნდს ეძებს თავისი კლიენტისთვის.

გუშინ სწორედ ბენეშს დავუკავშირდით კულუარული ინფორმაციის დასადასტურებლად და მისგან დადებითი პასუხიც მივიღეთ.

— შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ხიზანიშვილით ბუნდესლიგის ორი გუნდი, „შალკე“ და „ჰამბურგი“ არიან დაინტერესებული — გვითხრა ბენეშმა.

**დავით თავართქილაძე**

# ნიჭი ყოველთვისაა, ჰარმონია გვჭირდება

## კობა ჟორჟიკაშვილი: ენდეთ ახალგაზრდებს!



კახა ცხადაძემ 19-წლამდელთა ნაკრები კობა ჟორჟიკაშვილს გადააბარა

ბადრი კეთილაძის ფოტო

*გეხსომებათ, თებერვალში გამართულ აღმასკომის სხდომაზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად ლევან მელიქიას კანდიდატურა გავიდა. არადა, ამ პოსტზე კობა ჟორჟიკაშვილის დანიშვნას ელოდნენ. მაშინ „თბილისის“ პრეზიდენტმა ნიკა დოლიძემ და ამავე კლუბის დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა ღიად გაილაშქრეს მელიქიას მთავარი მხარდამჭერების, ვლადიმერ გუცაევისა და ალექსანდრე ჩივაძის წინააღმდეგ. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ ჟორჟიკაშვილმა მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით „დინამოში“ გამწვრთნელებული კახა ცხადაძის ნაცვლად ჩაიბარა 19-წლამდელთა ნაკრები.*

*მწვრთნელი ჟორჟიკაშვილი სამიოდ წლის წინ 17-წლამდელთა ნაკრებში მუშაობისას გაიცნო საფეხბურთო საქართველომ.*

*ახლა კი 19-წლამდელების ჯერია. ამ ნაკრებს შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უწევს, სადაც მეტოქეებად ლიტვა, ესტონეთი და სლოვენია ეყოლება. ტურნირს ლიტვა უმასპინძლებს, ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი კი მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავა.*

*როგორ მოემზადება ნაკრები სექტემბრისთვის, ამას ჟორჟიკაშვილისგან შევიტყობთ.*

— აზერბაიჯანელებმა შემოგვთავაზეს ტესტ-მატჩი, ახლა ჩვენთან ყველა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებითაა დაკავებული და აზერბაიჯანელებთან შეთანხმება ჯერ ვერ ხერხდება. ვნახოთ, ვინ მოვა ფედერაციის სათავეში. ისე, ზაფხულში რაიმე სერიოზულ ტურნირში მონაწილეობა გვინდა. შეუთამაშებელი გუნდით შესარჩევში გაგვიჭირდება.

**— მეტოქეებს როგორ შეაფასებთ?**

— ჩვენი მეტოქეები ევროპული გრანდები არ არიან, თუმცა დღეს ლიტვა და სლოვენია ჩვენზე არანაკლები საფეხბურთო ქვეყნებია. ისევ ბანალურ ფრაზას გავიმეორებ — ფეხბურთი ყველამ ისწავლა. ჩვენი მიზანი ჯგუფიდან გასვლა იქნება.

**— თქვენ 17-წლამდელებთან უფრო ხშირად მუშაობდით. 19-წლამდელები ცოტა უჩვეულო ასაკი ხომ არაა თქვენთვის?**

— ჩემი სამწვრთნელო კარიერა თუ გახსოვთ, „მრეტებში“ და „ლოკომოტივში“ ცუდად არ მიმუშავია. ასე რომ, დიდ გუნდებთან არ გამჭირვებია და 19-წლამდელებში რატომ გამიჭირდება?! 1987 წლის შემდეგ დაბადებულ ყველა ასაკის ბიჭს ვიცნობ. ინფორმაციები მაშინაც მქონდა, როცა 19-წლამდელებს გელა გომელაური წვრთნიდა.

**— ნაკრების ბირთვი უკვე შერჩეული გყავთ?**

— სექტემბრამდე კიდევ შეიძლება რამე შეიცვალოს. ისე, საბედნიეროდ, 1987 და 1988 წლებში დაბადებული ლეგიონერებიც გვყავს.

**— ახალგაზრდულ ნაკრებშიც ბევრია 19 წლამდე ასაკის მოთამაშე...**

— ესეც ძალიან სასიხარულოა. მომწონს „ზესტაფონის“ მაგალითი, რომელსაც გიორგი განუგრავა მუდმივად ძირითადში ჰყავს და ეს ბიჭიც თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ბექა გოცირიძესაც აქვს სათამაშო პრაქტიკა, ფოთში და ბათუმშიც გამოჩნდნენ ახალგაზრდები, თბილისურ კლუბებზე კი აღარაფერს ვიტყვი. ახალგაზრდას თუ არ ათამაშებ, მარტო ვარჯიშით ვერ გაიზრდება. როცა „ლოკომოტივს“ ვწვრთნიდი, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩში 16 წლის დავით ბაქრაძე (ახლა რომ „ტორპედოში“ თამაშობს) ვათამაშე და არაფერი წამიგია.

**— რამდენად ნიჭიერია ის თაობა, რომელსაც სექტემბერში ევროშესარჩევში დაეყრდნობით?**

— ნიჭი ყველა თაობაშია. მთავარია, ამას როგორ გამოიყენებ. ჩემი აზრით, ყველა ასაკის ნაკრები ჰარმონიულად უნდა მოქმედებდეს — 17-წლამდელებმა 19-წლამდელებისთვის უნდა გაზარდონ ფეხბურთელები, 19-წლამდელებმა ახალგაზრდული ნაკრებისთვის და ასე შემდეგ. ეტაპობრივად უნდა ხდებოდეს მოთამაშის განვითარება. ეს ეტაპობრიობა დარღვეული იყო და დიდწილად ამის გამოა, ეროვნულ ნაკრებში მარჯვენა ნახევარმცველის პრობლემა რომ ვერა და ვერ გადაიჭრა. სხვა პოზიციებზეც არის სიცარიელე.

**ილია ნანობაშვილი**

# ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის განცხადება

ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა, როგორც საზოგადოებამ იცის, იმ ხალხმა დავაფუძნეთ, ვინც 1990 წელს ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოლეთ და გავიმარჯვეთ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი ითამაშეს ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელებმა, რომელნიც დღეს ქომაგთა ლიგის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ. ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების დასაწყისშივე განვაცხადეთ, რომ პრეზიდენტობის ჩვენი კანდიდატის ზურაბ პატრიაშვილის და გიორგი ნემსაძის განცხადებები თითქმის იდენტური იყო და გარკვეული კონსულტაციების შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენი ძალები უნდა გაერთიანდნენ! სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ხშირად საერთო საქმისათვის მოღვაწე ძალების გახლეჩვას უფრო გაიგებთ, ვიდრე გაერთიანებას. დიახ, ჩვენ ვერთიანდებით ერთი საერთო იდეის გარშემო, ეს არ არის ძმაკაცების, ნათესავების ან კლანების გაერთიანება, ამ გაერთიანებას საფუძვლად უდევს ჩვენი ფეხბურთის წინსვლის და გამარჯვების იდეა. ისიც სიმბოლურია, რომ სწორედ ლანჩხუთი, მთლიანად გურია დაუდგა ერთ-ერთი პირველი მხარში და გიორგი ნემსაძის საპრეზიდენტო წარდგინებას ის აკეთებს. ფეხბურთის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ გიორგი ნემსაძე წლების განმავლობაში თამაშობდა საზღვარგარეთ: შვეიცარიაში, თურქეთში, იტალიაში, შოტლანდიაში. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ნაკრების კაპიტანი, კაპიტნობას კი [illegible] კარგი თამაში არ [illegible] ავტორიტეტი უნდა გქონდეს, კაპიტნად რომ აგირჩიონ. თავიანთ ყოფილ კაპიტანს სრულ მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს ნაკრების დღევანდელი მოთამაშეები, გუნდის ამჟამინდელი კაპიტნის კახა კალაძის მეთაურობით. აღსანიშნავია შოტლანდიიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი ნემსაძის წვლილი თბილისის „დინამოს“ შარშანდელ წარმატებაში, როდესაც „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ტურნირზე შეძლო გასვლა. გიორგი ნემსაძე არის პატრიოტი, ერუდირებული, ევროპული საფეხბურთო სკოლაგამოვლილი, ზრდილი, რამოდენიმე უცხო ენის მცოდნე, საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში კარგად ჩახედული, ენერგიული ახალგაზრდა კაცი, რომელიც აერთიანებს თავისი და დღევანდელი თაობების მისწრაფებას, წარმატების გზაზე დადგეს ქართული ფეხბურთი. ჩვენ, ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა ვუდგებით მხარში გიორგი ნემსაძეს და მოვუწოდებთ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის წევრებს, ჩვენს მრავალრიცხოვან მხარდამჭერებს, ისეთივე ენთუზიაზმით და კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ ჩვენთან ერთად ქართული ფეხბურთის გამარჯვებისათვის, რამეთუ ჩვენი, უკვე საერთო საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი ნემსაძის გამარჯვება, ჩვენი გამარჯვებაა, ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული ფეხბურთის გამარჯვებაა, მთლიანად ქართული სახელმწიფოს გამარჯვებაა.

გენერალური სპონსორი
www.pfl.ge
დავით ყიფიანის სახელობის თასი
26 მაისი. ხუთშაბათი.
ეროვნული სტადიონი
ფინალი
ზესტაფონი
VS
ლოკომოტივი
მთავარი სპონსორი
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
საკომუნიკაციო სპონსორი
სპონსორები
საბურავები
დასაწყისი 19:30 საათზე.
ბილეთის ფასი 2-3 ლარი
საინფორმაციო უზრუნველყოფა
სარბიელი
ოლიმპი
11×11
[24]

## დანია

**სუპერლიგა XXVIII ტური**

ოლბორგი 5:3 ვიბორგი
ორჰუსი 4:0 რანდერსი
ესბიერგი 4:0 სილკებორგი
კოპენჰაგენი 1:1 ოდენსე
ჰერფიოლგე 1:0 ნორდსიელანდი
მიდტიულანდი 3:1 ბრონდბიუ

## ბელგია

**II კლასი. გადასასვლელი პლეი ოფი. საპასუხო მატჩები**

ანტვერპენი 0:2 *რუზელარე* (0:1)
*გეელი* 1:1 ვაასლანდი (2:0)

## შვედეთი

**თასის მეოთხედფინალი**

ლანდსკრონა 1:3 მალმიო

## შვეიცარია

**სუპერლიგა. XXXII ტური**

ციურიხი 6:3 თუნი

**ჩელენჯლიგა. XXXII ტური**

იუვენტუსი 3:1 ლუცერნი

## იტალია

**თასის 1/2 ფინალი საპასუხო მატჩი**

უდინეზე 1:2 *რომა* (1:1)

## ინგლისი

**ჩემპიონატი. პლეი ოფი 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი**

დერბი 0:0 *პრესტონი* (0:2)

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. V ტური**

ჰიკ 3:1 ტურკუ

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

34 ტური მიმოხილვა

# ძაბვა ავარდა

*ორი ტური და ორქულიანი სხვაობა — „ტორპედომ“ ექსპრესივით ჩაიქროლა ბოლო მატჩებში, მიჯრით მოიგო და ლიდერ „დინამოს“ კუდში მისწვდა. ისე, საეჭვო კია, ქუთათურებმა იჩემპიონონ, რადგან კახა ცხადაძის ბიჭებს ორი სასეირნო თამაში დარჩათ.*

*ექსპრესივით ჩაიქროლა „ლოკომოტივ“ — „დინამოს“ 90-მა წუთმაც, რომელმაც ზვიად სტურუა რეკორდსმენი გახადა — ზვიადმა მეათე მატჩშიც მშრალად შეინახა კარი და 14 წუთით აჯობა აწ ექსრეკორდსმენ ირაკლი ზოიძეს.*

*ლიდერთა ჯგუფში კი დიდი ამბებია, „თბილისიც“ მეორე ადგილისთვის იქაჩება და არც სტურუას „ლოკომოტივს“ ჩამოუყრია ყურები.*

*ძაბვა ავარდა გასავარდნ ზონაშიც, სადაც „კოლხეთმა“ გოლების კასკადი მოუწყო ბეჩავ „დილას“, „სიონმა“ კი წააგო და ეგეც თქვენი ინტრიგა — ფოთს ბოლნისამდე, ანუ უმაღლესში დარჩენამდე ორად ორი ქულაღა აშორებს. ისე, ამ ხუმრობა-ხუმრობაში „ბათუმსაც“ დაემუქრა პირველ ლიგაში ჩაქვეითება...*



ბადრი კეთილაძის ფოტო

**სიმბოლური ნაკრები**

- ზაზა ზირაქიშვილი — *ზესტაფონი*
- სანდრო იაშვილი — *თბილისი*
- რონ ონიანი — *ლოკომოტივი*
- მიხეილ მესხი — *თბილისი*
- ლაშა ნოზაძე — *დინამო*
- დავით ბოლქვაძე — *ტორპედო*
- ლევან აკობია — *კოლხეთი*
- მიხეილ მახვილაძე — *ლოკომოტივი*
- ლევან სილაგაძე — *დინამო*
- რევაზ ძემოკლიძე — *თბილისი*
- ზვიად სტურუა — *ლოკომოტივი*

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: ნოდარ აკობია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 34 | 21 | 6 | 7 | 67:27 | 69 |
| ტორპედო | 34 | 19 | 10 | 5 | 54:27 | 67 |
| თბილისი | 34 | 20 | 6 | 8 | 56:36 | 66 |
| ლოკომოტივი | 34 | 16 | 14 | 4 | 40:19 | 62 |
| ზესტაფონი | 34 | 16 | 5 | 13 | 36:43 | 53 |
| ვიტ ჯორჯია | 34 | 12 | 9 | 13 | 50:38 | 45 |
| ბათუმი | 34 | 8 | 12 | 14 | 32:30 | 36 |
| სიონი | 34 | 10 | 4 | 20 | 30:56 | 34 |
| კოლხეთი | 34 | 9 | 5 | 20 | 32:56 | 32 |
| დილა | 34 | 2 | 3 | 29 | 20:85 | 9 |

**მომდევნო ტური**

22 მაისი, კვირა

თბილისი – ლოკომოტივი

ბათუმი – კოლხეთი

სიონი – ზესტაფონი

დილა – დინამო

ვიტ ჯორჯია – ტორპედო

| სტადიონი | მატჩი | მინდვრის მდგომარეობა | ორგანიზაცია | დასწრება | საშუალო ბალი |
|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“. ქუთაისი | ტორპედო 2:0 სიონი | 8,5 | 7,0 | 7,0 | 7,5 |
| „ოლიმპი“. თბილისი | თბილისი 2:1 ვიტ ჯორჯია | 9,5 | 7,5 | 3,5 | 6,8 |
| „მიხეილ მესხი“. თბილისი | ლოკომოტივი 0:0 დინამო | 9,5 | 7,0 | 3,0 | 6,5 |
| „ფაზისი“. ფოთი | კოლხეთი 6: 2 დილა | 6,5 | 6,0 | 2,5 | 5,0 |
| „ევგრაფი შევარდნაძე“. ლანჩხუთი | ზესტაფონი 2:0 ბათუმი | 6,5 | 5,0 | 2,5 | 4,6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 23-მელქაძე | *დინამო* |
| 21-მეგრელაძე | *ტორპედო* |
| 12-ოდიკაძე | *თბილისი/დინამო* |
| ბობოხიძე | *ლოკომოტივი* |
| ფიფია | *თბილისი* |
| მარცვალაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 10-ზირაქიშვილი | *ზესტაფონი* |
| 9-დვალი | *დინამო* |
| იაშვილი | *თბილისი* |
| 8-მერებაშვილი | *ვიტ ჯორჯია* |

## თქვენი ინტერვიუ ალენ ჟირესთან

*თქვენი კითხვების მორიგი ადრესატი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალენ ჟირესი გახლავთ. მუსიე ჟირესი, მოგეხსენებათ, ფრანგია, მაშასადამე, ევროპელი და, ალბათ, „ჩამჭრელ“ და „მკვლელ“ კითხვებს მისთვის არ დაინანებთ. ჟირესი და „სარბიელი“ თქვენს კითხვებს 25 მაისამდე დაელოდებიან, ხოლო „თქვენ ინტერვიუს“ ჟირესთან 1 ივნისამდე იხილავთ.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: **Starmall@Caucasus.net**





ბადრი ქეთილაძის ფოტო

# მოდის მატარებელი

## ზესტაფანები რკინიგზელებს რკინიგზითაც შეუტევენ

**ზესტაფონში** დიდი ამბებია — იმერლები დავით ყიფიანის თასის ფინალისთვის გამალებით ემზადებიან და კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიასგან საჩუქარიც მიიღეს. კერძოდ, 26 მაისს ზესტაფონელი ქომაგები მატარებლით და რვა ავტობუსით უფასოდ ჩამოვლენ დედაქალაქში. ყველანაირი ფინანსური მხარე საკუთარ თავზე სწორედ კოკაიამ აიღო.

ასე რომ, 26-ში „ეროვნულზე" თბილისელი გულშემატკივრების გარდა ზესტაფონელებიც საკმაოდ მრავლად იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ თასის ფინალი „ლოკომოტივი" — „ზესტაფონი" 19.30 საათზე დაიწყება, ბილეთის ფასი კი 2-3 ლარია.

**ქახა შალამბერიძე**

Coca-Cola

FIFA WORLD RANKING

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 831 | 14 | 14 | *თურქეთი* | 712 |
| 2 | 2 | ჩეხეთი | 784 | 15 | 15 | ირლანდია | 709 |
| 3 | 3 | არგენტინა | 778 | 16 | 16 | ურუგვაი | 706 |
| 4 | 4 | საფრანგეთი | 769 | 17 | 17 | იაპონია | 703 |
| 5 | 5 | ჰოლანდია | 759 | 18 | 19 | ირანი | 699 |
| 6 | 6 | ინგლისი | 754 | 19 | 18 | *დანია* | 697 |
| 7 | 8 | მექსიკა | 753 | | 21 | გერმანია | 697 |
| 8 | 7 | ესპანეთი | 752 | 39 | 42 | *უკრაინა* | 617 |
| 9 | 9 | პორტუგალია | 740 | 93 | 89 | *ალბანეთი* | 499 |
| 10 | 10 | იტალია | 734 | 100 | 102 | საქართველო | 467 |
| | 10 | აშშ | 734 | 149 | 149 | *ყაზახეთი* | 302 |
| 12 | 12 | *საბერძნეთი* | 727 | | | | |
| 13 | 13 | შვედეთი | 722 | | | | |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

# უნდა ვიყო მე ასე?!

**საქართველოს** ნაკრები ასეულში დაბრუნდა. ასეთია ფიფა-კოკა კოლას ყოველთვიური რეიტინგის ბოლო მაჩვენებელი. აპრილში საქართველო 102-ე ადგილზე იყო, თუმც რატომღაც ორი საფეხურით დაწინაურება მოახერხა და ახლა მეასეზეა.

ჩვენს მეტოქეთაგან ყველაზე მაღლა, მე-12 ადგილზეა საბერძნეთი, რომელსაც ორად ორი საფეხურით ჩამორჩება თურქეთი. ოცეულშია დანიაც, აი, ჯგუფის ლიდერი უკრაინა კი სამი საფეხურითაც აღზევდა და ახლა 39-ე ადგილზეა. არადა, მიმდინარე შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე სამოცეულშიც არ იყო.

7 ადგილით და 32 ქულით გვისწრებს ალბანეთი, რომელსაც ჩვენი ნაკრები 4 ივნისს ტირანაში ესტუმრება. მოგეხსენებათ, ამ თამაშზე ტრიბუნები ცარიელი იქნება და თუ ქართველებმა იყოჩაღეს, ვინძლო, ალბანელებიც ჩამოიტოვონ.

ბარემ ჩვენი ჯგუფის აუტსაიდერზეც ვთქვათ — ყაზახეთის ნაკრები 302 ქულით 149-ე ადგილზეა და ბოლო თვეების განმავლობაში სტაბილურად „ინარჩუნებს" ამ შედეგს.

რეიტინგს კი კვლავაც ბრაზილია ლიდერობს 831 ქულით, მეორე-მესამეზე ჩეხეთი და არგენტინა არიან. მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი გერმანია კი უჩვეულო, 21-ე ადგილზეა.

**ქახა შალამბერიძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა — საქართველოს პირველი ლიგა 16 ჩემპიონატი მეორე წრე 27 ტური

# წვიმის კაცები

**პაპუნა კედია** რუსთავიდან

რუსთავი. 19 მაისი. 17 საათი. ფოლადი. 500 (ტევადობა 8 700)

## რუსთავი 0:0 ამერი

**რუსთავი:** ვაშაკიძე, ნეფარიძე, ლამბაშიძე, შუბითიძე (ბაბაშვილი 90), კორსანტია, ლაბაძე, მიქაძე, შენგელია, გობეჯიშვილი, კაპანაძე (მეტრეველი 66), გ. კილასონია
**მწვრთნელი:** ვარლამ კილასონია

**ამერი:** ნაჭყებია, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ბერიანიძე, დეკანოსიძე, სილაგავა (ჩხეტიანი 46), გ. ჯელაძე, კაიდარაშვილი, დავითაშვილი, სევასტოპულო
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გაფრთხილება:** ჩხეტიანი (70), გობეჯიშვილი (85), მეტრეველი (90)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; ლ. მიქელაძე, კ. გაბრიაძე; ა. ორდინიძე

თამაშის და წვიმის დაწყება ერთი იყო — თითქოს რუსთავის ოდესღაც მშვენიერი სტადიონის საძაგელი მოედანი მშრალად ვერ მოახერხებდა თამაშის ხარისხის გაფუჭებას. ისე, კაცმა რომ თქვას, უფრო სწორად, რომ შეარემონტოს „ფოლადის" სტადიონი, ახლაც ისეთივე მშვენიერი გახდება, მაგრამ ეს სხვა თემაა.

მოკლედ, იმას მოგახსენებდით, რომ თამაში და წვიმა ერთდროულად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მათი ბედი სხვადასხვანაირად წარიმართა. წვიმა გაძლიერდა, მთელი ძალითა და ღონით ჩამოექცა მოედანს, თამაში კი პირიქით, ასეთი თქეშის შემყურე გაირინდა და პირველ ტაიმში, ფაქტობრივად, შეუმჩნეველი დარჩა. ნებისმიერი პასი ხიფათთან იყო დაკავშირებული, რადგან კაციშვილი ვერ მიხვდებოდა, საით მოეპრიანებოდა ბურთს გახვევა. ვფიქრობთ, წვიმამ ხაზგასმით ცუდი საქმე მეტოქეთა გამთამაშებლებს, „ამერის" მხრივ გიორგი დეკანოსიძეს და „რუსთავის" მხრივ გიორგი კილასონიას გაუკეთა, რადგან უშუალო მოვალეობის შესრულებაში — ბურთის გაგორებაში უშლიდა ხელს. ერთი სიტყვით, თუ ორმა გიორგიმ მაინც მოახერხა რამე, ეს მხოლოდ მათ სასიკეთოდ მეტყველებს.

მართალია, მეორე ტაიმში წვიმის ჯინაზე თამაშის ტემპი აჩქარდა, მაგრამ თამაშის ჯინაზე მოედანზე გუბეები გაჩნდა. ინიციატივას — ყოველ შემთხვევაში, მეორე ტაიმის პირველ ნახევარში — სტუმრები დაეუფლნენ, მასპინძლები კი თითქოს ფრეზეც არ იყვნენ უარს. სწორედ მეორე ტაიმში იყო ორი ეპიზოდი, როდესაც, ამერელების ვარაუდით, მათ სასარგებლოდ პენალტი უნდა დანიშნულიყო — რუსთაველი მცველების აქტიურობის შედეგად ორივეჯერ დავით სევასტოპულო წაიქცა — მაგრამ მსაჯმა არ დაუსტვინა და თამაშიც გაგრძელდა, სხვა რა ჩარა იყო. ისე კი, მსაჯი მსაჯად და, როგორც მასპინძლებს, ასევე სტუმრებს, ალბათ, მაინც შეეძლოთ, ან შორიდან ერტყათ ცოტა მეტი, ან სხვა მეთოდებით გაემრავალფეროვნებინათ თამაში. თუმცა, როგორ ამინდში და როგორ გაზონზე ხდებოდა ეს ყველაფერი, ზემოთ უკვე მოგახსენეთ და ამიტომ რაიმეში მოთამაშეთა ზედმეტი დადანაშაულება ნამდვილად არ გვინდა.

მეორე ტაიმის შუა მონაკვეთში, დაახლოებით ხუთი-ათი წუთით ინიციატივა რუსთაველებმა იგდეს ხელთ, მაგრამ მათაც მხოლოდ ორი კუთხური ჩააწოდეს და ეს იყო ყველაზე მწვავე მომენტები. თამაშის ბოლო პერიოდი კი წინანდელი დროის საშუალო არითმეტიკული გახლდათ, ყოველ შემთხვევაში,- ჩვენ ასე მოგვეჩვენა.

**ჩიხურა 3:2 დინამო 2**

**მერანი 3:1 ცხინვალი**

**ბორჯომი 6:3 კახეთი**

**მაღაროელი 0:1 სპარტაკი**

**ვიტ ჯორჯია 0:0 ლოკომოტივი 2**

**გურია 0:1 ოლიმპი**

დღეს გაიმართება

**საგარეჯო — ივერია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 27 | 21 | 3 | 3 | 68:29 | 66 |
| ამერი | 27 | 20 | 3 | 4 | 81:15 | 63 |
| სპარტაკი | 27 | 15 | 8 | 4 | 45:27 | 53 |
| ვიტ ჯორჯია | 27 | 14 | 7 | 6 | 39:22 | 49 |
| კახეთი | 27 | 14 | 4 | 9 | 45:37 | 46 |
| დინამო 2 | 27 | 14 | 1 | 12 | 56:44 | 43 |
| ცხინვალი | 27 | 13 | 4 | 10 | 35:31 | 43 |
| ჩიხურა | 27 | 10 | 7 | 10 | 29:30 | 37 |
| გურია | 27 | 10 | 7 | 10 | 28:36 | 37 |
| ლოკომოტივი 2 | 27 | 9 | 6 | 12 | 30:38 | 33 |
| რუხთავი | 27 | 9 | 5 | 13 | 32:37 | 32 |
| ოლიმპი | 27 | 8 | 5 | 14 | 31:41 | 29 |
| ივერია | 26 | 8 | 5 | 13 | 23:38 | 29 |
| მერანი | 27 | 8 | 4 | 15 | 34:46 | 28 |
| *საგარეჯო* | 26 | 3 | 5 | 18 | 21:59 | 14 |
| *მაღაროელი* | 27 | 0 | 4 | 23 | 12:79 | 4 |



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ლიგის ბომბარდირი სულიკო დავითაშვილი უგოლოდ დასველდა

# გვინდა მოგება? ნუ ავყვებით ემოციებს!

## შევჩენკომ მილანი დაამშვიდა



ანდრეი შევჩენკოსთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალი მორიგი, რიგითი მატჩია

**იტალიური** „მილანის“ ვარსკვლავი ანდრეი შევჩენკო ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ თანაგუნდელებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს. უკრაინელის აზრით, გამარჯვების მოსაპოვებლად ეს ერთ-ერთი მთავარი იარაღია.

ამასობაში, „როსონერის“ ექიმები საბოლოოდ გვამცნობენ, რომ გუნდის ნახევარმცველი მასიმო ამბროზინი „ლივერპულთან“ თამაშს ვერ შეძლებს

„ყველაზე მნიშვნელოვანია, ბოლო დღეებში სიმშვიდე შევინარჩუნოთ. ბუნებრივია, ჩემპიონთა ლიგის ფინალი ნებისმიერი კლუბისთვის მთავარი მატჩია, მაგრამ ემოციებს თუ ავყევით, მოგება გაგვიჭირდება. ამ შეხვედრას ისე უნდა მივუდგეთ, როგორც ერთ ჩვეულებრივ, რიგით თამაშს. ასე მიზნის მიღწევა ბევრად უფრო ადვილი იქნება“ — განმარტა შევჩენკომ.

„შავ-წითლების“ ფორვარდმა „იუვენტუსთან“ ორი წლის წინანდელი ფინალიც გაიხსენა და მიმდინარე სეზონში ფაქტობრივად, დაკარგულ სკუდეტოზეც თქვა ორიოდე სიტყვა.

ანდრეი შევჩენკო: „ეს გრძნობები და ვითარება ძალიან განსხვავდება მანჩესტერული ფინალისგან. მაშინ ჩვენი უმეტესობა პირველად თამაშობდა ასეთ მნიშვნელოვან მატჩს. ამ ორი წლის მანძილზე კი დიდი გამოცდილება მივიღეთ. რაც შეეხება სკუდეტოს, ახლა ამაზე საუბარი არ ღირს. მთავარია, „ლივერპულთან“ 100 პროცენტით ვიყოთ მზად“.

„ლეჩესთან“ დაშავებული მასიმო ამბროზინისთვის კი სავარაუდოდ, სეზონი დასრულდა. მართალია, იგი ძირითადი შემადგენლობის მუდმივი წევრი არ არის, მაგრამ კარლო ანჩელოტის სისტემაში მაინც ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. თუნდაც იმის გახსენება რად ღირს, რომ ამბროზინის ბევრი საჭირო გოლი აქვს გატანილი. მათ შორის ბოლო „ფილისზე“, „პსვ ეინდჰოვენთან“. „მილანი“ ხომ სწორედ ამ ბურთის წყალობითაა ფინალში.

**გიორგი ქაქაბაძე**



ერნან კრესპომ ალესია როსი დაიკანონა

# შენ დაუკარ!

## ერნან კრესპოს ქორწილია

**„ლეჩე“ — „მილანის“** მატჩის მეორე დღეს ქალაქ კომოში ერნან კრესპო და ალესია როსი დაქორწინდნენ. წვეულებას „მილანის“ ფეხბურთელების გარდა ადრიანო გალიანი და კარლო ანჩელოტი ესწრებოდნენ. სუფრას მხოლოდ მასიმო ამბროზინი აკლდა, რადგან ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა.

მაისის დასაწყისში ერნან კრესპომ თქვა, სამი რამ ჩავიფიქრე და ამ თვის ბოლომდე შევასრულებ — ცოლს მოვიყვან, ჩემპიონთა ლიგას მოვიგებ და „მილანში“ დავრჩებიო.

არგენტინელმა ალესია როსი უკვე ოფიციალურად „გაიფორმა“, რომელსაც შარშან, სექტემბერში გოგო, ნიკოლი აჩუქა.

„ძალიან ბედნიერი ვარ — თქვა სიძემ — ვგრძნობ თანაგუნდელების პატივისცემას და სიყვარულს. სასიამოვნოა, რომ ისინი არ აქ არიან. მგონი, ჩემი შვილიც გრძნობს, რაც აქ ხდება. ის გახარებული მშობლებს ხედავს“.

ადრიანო გალიანი და კარლო ანჩელოტი კი კრესპოს საქორწილო საჩუქარს, „მილანში“ დატოვებას შეჰპირდნენ.

„მსურს, რომ კარიერა ამ გუნდში გავაგრძელო — აღნიშნა არგენტინელმა — მე პირველად ვითამაშებ ასეთი დონის მატჩში. გოლი რომ გავიტანო? ეს ფანტასტიკური იქნება!“

**ვაჟა ხუციშვილი**



ფრენკ ლამპარდი

# ლამპარდს ძილი დაუფრთხეს

**ფრენკ ლამპარდი** გაძარცვეს. საქმე ისაა, რომ „ჩელსისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველს ლონდონის სამხრეთ-დასავლეთ უბან ბრომპტონში შუაღამისას ქურდი ესტუმრა.

ლამპარდს ფეხმძიმე მეუღლე ელენ სივესთან ერთად მშვიდად ეძინა, როცა მძარცველი მის კარ-მიდამოში შეიპარა და ორი უძვირფასესი ავტომობილი ეზოდან გაიყვანა. ფეხბურთელს ავტოების ძრავის ხმაურზე გაეღვიძა. დაახლოებით ღამის ოთხ საათზე მან პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისულ სამართალდამცავებს კი ეზოს კარი შენგრეული დახვდათ.

მოგვიანებით, ფრენკ ლამპარდის ორივე ავტომობილს მიაგნეს. ერთი ლონდონის უბან ჩელსიში იყო, მეორე კი — ბეტერსიში. დამნაშავეც ბეტერსიში დააკავეს.

მერე გაირკვა, რომ ფრენკ ლამპარდის სახლიდან რაღაც სხვა ნივთებიც ყოფილა წაღებული. რა თქმა უნდა, გამტაცებელს ყველაფერს უკან დააბრუნებინებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფიგუ რეალს დაემუქრა

## მან იცის, ვინ და რატომ აითვალწუნა

**პორტუგალიელი** ლუიშ ფიგუ ბოლო დროს „რეალის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად რომ ხვდება არახალია. ისიც ცხადია, რომ ტიტულიანი ვარსკვლავი სათადარიგო სკამთან „დამეგობრებით“ კმაყოფილი ნამდვილად არ არის.

ჰოდა, ორიოდე დღის წინ ლუიშ ფიგუ ერთ-ერთ ესპანურ ტელეარხზე მიიწვიეს, სადაც მან მადრიდულ გრანდში, მის გარშემო შექმნილი უჩვეულო სიტუაციის შესახებ ისაუბრა.

„ვთვლი, რომ „რეალში“ უსამართლოდ მექცევიან, მაგრამ რა გაეწყობა, ფეხბურთში ასეა, ყოველთვის დალხინებული ვერ იქნები. მე მშვენივრად ვიცი, „სამეფო კლუბში“ სიძნელეებს ამჟამად განგებ ვინ და რატომ მიქმნის“ — თქვა განაწყენებულმა პორტუგალიელმა.

ფიგუს აღიარებას, რა თქმა უნდა, ჟურნალისტის შესაბამისი კითხვაც მოჰყვა, იქნებ თქვენი „მტრის“ ვინაობა დაგვისახელოთო.

„დასამალი არაფერი მაქვს — ვანდერლეი ლუშემბურგოა ის კაცი, რომელმაც ამითვალწუნა და ვერ მიტანს. არადა, მიზეზს ნამდვილად ვერ ვხვდები, რატომ მექცევა ასე. სწორედ მისი გადაწყვეტილებითაა რომ ვერ ვთამაშობ ძირითადში. დანამდვილებით შემიძლია ის ვთქვა, რომ მართლაც კარგ ფორმაში ვარ და სასტარტო თერთმეტეულში ადგილს ვიმსახურებ“ — უპასუხა პორტუგალიელმა.

მოგეხსენებათ, ლუიშ ფიგუს მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია. ესპანური მედიის ცნობით, ყოფილ ბარსელონელს ახალი სეზონისთვის „რეალში“ აღარ გააჩერებენ, რადგან ლუშემბურგოსი არ იყოს, მისით უკმაყოფილო თურმე, თვით კლუბის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესიც ყოფილა. თავად ვარსკვლავი „რეალში“ დარჩენა-არდარჩენაზე ჯერჯერობით არ ლაპარაკობს და ისევ ყბადაღებული ძირითადის თემას ეხება.



ლუიშ ფიგუმ უთამაშებლობის მიზეზი სანახევროდ გაამხილა

„ისინი ჩემს ღირსებას და თავმოყვარეობას ფეხქვეშ თელავენ, რისი უფლებაც არავის აქვს. დამიჯერეთ, მალე დადგება დრო, როცა ყველას პასუხს საკადრისად მოვთხოვ“ — დასძენს ბოლოს ლუიშ ფიგუ.

**ლადო ხომერიკი**

# უეფას თასი 2004-2005. ფინალი





AFP ლისაბონიდან

გულგატეხილმა პორტუგალიელმა ქომაგებმა რუსების ზეიმი იხილეს, „სპორტინგის" ჩვეული თამაში კი ვერა

# პრყისფერი მოსკოვი

## რუსულმა არმიამ პუშკინიც გააოგნა

ლისაბონი. „ჟოზე ალვალადე". 65 000 მაყურებელი

## სპორტინგი 1:3 ცსკა

1:0 როჟერიუ (29), 1:1 ა. ბერეზუცკი (57), 1:2 ჟირკოვი (66), 1:3 ვაგნერ ლავი (75)

| | |
|---|---|
| რიკარდუ, მიგელ გარსია, ბეტუ სევერუ, ენაკარხირე, რ. ტელო, როჟერიუ (დუალა 80), მუტინიუ (უგო ვიანა 87), როჩემბაკი, პ. ბარბოსა, ლიდსონი, ზა პინტუ (ნიკულაე 72) | აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ოდია, ალდონინი (გუსევი 86), დანი კარვალიუ (შემბერასი 82), რაჰიმიჩი, ჟირკოვი, ოლიჩი (კრასიჩი 67), ვაგნერ ლავი |
| მწვრთნელი: ჟოზე პეშეირო | მწვრთნელი: ვალერი გაზაევი |

გაფრთხილება: ბარბოსა (8); მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

**19 მაისის** დილა მოსკოვში არყისფრად გათენდა. დედაქალაქს ათასობით გალეშილი არყისა და ცსკა-ს ფანი შეესია. თვით პუშკინმაც კი გაიგო, რომ მოხდა ის, რაც აქამდე არ მომხდარა — რუსულმა კლუბმა ევროთასი პირველად მოიგო. პუშკინის ძეგლს ცსკა-ს შარფი ამშვენებდა.

ალკოჰოლით გაჟღენთილმა მოსკოველებმა ქალაქის რამდენიმე რაიონში მუშტი-კრივიც გაჩაღეს. ერთი ავტომობილი დაიწვა ერთის და ერთი ჯიხურიც ზედ მიაყოლეს, მილიციამ კი 84 კაცი „გაჩაწრა".

...როჟერიუს ალბათ კიდევ დიდხანს არ დაავიწყდება ის მომენტი, თითქმის კარი ხაზიდან ბურთი ძელს რომ მოარტყა. არ დაავიწყდება 19 წლის აკინფეევსაც, რომელმაც მოგვიანებით ამავე ძელს აკოცა. ამ ეპიზოდმა ისე გააოგნა სპორტინგელები, რომ ცსკა-ს საჯარიმოში მონუსხულებივით გაჩერდნენ, რასაც მოსკოველთა საგოლე კომბინაცია მოჰყვა — დანი კარვალიუმ ჟირკოვი რიკარდუს პირისპირ შეჰყარა და ცსკა 2:1 დაწინაურდა.

„სპორტინგი" გასათანაბრებლად მიაწყდა მეტოქის ნახევარს, მაგრამ კიდევ ერთი კონტრშეტევა გაეპარა და ვაგნერ ლავმა მასპინძლებს მესამე გოლი გაუტანა. ლისაბონში ალკმაარული სასწაული აღარ განმეორდა. „სპორტინგი" დაბნეული ჩანდა და შორიდან დარტყმებს მიეძალა, მაგრამ ამაოდ.

პირველი ტაიმი აშკარად პორტუგალიელებისა იყო. უტევდნენ, კუთხურს კუთხურზე აწოდებდნენ, „რუსული არმია" კი თავს იცავდა. „სპორტინგმა" რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა და ეს ხარვეზი როჟერიუმ გამოასწორა, როცა საჯარიმოს გარედან მოჭრილი დარტყმით ბურთი აკინფეევის კარის ცხრიანში აფართხალა. ლისაბონელებმა ამის შემდეგ ტემპი ოდნავ დააგდეს, ცსკა-ს კი გაქცევა შეეძლო. ოლიჩის პასით ვაგნერ ლავი რიკარდუსთან პირისპირ აღმოჩნდა და ბურთი კარს ააცილა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ცსკა გააქტიურდა, მასპინძელთა ნახევარს გაუშინაურდა და საპასუხო გოლიც „გამოაცხო". დანი კარვალიუმ საჯარიმოში ჩააწოდა, ალექსეი ბერეზუცკიმ კი თავით ისე დაარტყა, რომ რიკარდუსთვის მიწოდან ასხლეტილი ბურთის მოგერიება ძალიან რთული იყო. სტუმრებს მადა გაეხსნათ და ათწუთიან მონაკვეთში კიდევ ორიც მიამატეს, რომლებიც უკვე თავშივე ვახსენეთ. ცსკა-ს სამივე გოლი ბრაზილიელმა ლეგიონერმა დანი კარვალიუმ შექმნა. ბერეზუცკიმ, ჟირკოვმა და ვაგნერ ლავმა მისი პასებით გაიტანეს. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ „პარმასთან" საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც ცსკა-მ 3:0 მოიგო, კარვალიუმ ორი გოლი მიითვალა.



AFP ლისაბონიდან

ვაგნერ ლავის მესამე გოლმა ლისაბონელთა იმედები საბოლოოდ დაასამარა

მოსკოვში, დილით ადრე ჩასულ ცსკა-ს ბლომად გულშემატკივრები დახვდნენ, ვალერი გაზაევი კი გუნდის ავტობუსამდე ხელში აყვანილი მიაბრძანეს. ნამატჩევს გაზაევმა განაცხადა: „მთელ ქვეყანას ვულოცავ ამ დღესასწაულს. ცსკა-ს ბრწყინვალე ფეხბურთელები, კლუბის პრეზიდენტი და არცთუ ურიგო მწვრთნელი ჰყავს. ვფიქრობდი, რომ ქომაგებით შეგულებული „სპორტინგი" თავიდანვე მძლავრად შემოგვიტევდა, ჩვენ კი დაცვაში უშეცდომოდ უნდა გვეთამაშა. მეორე ტაიმისთვის ტაქტიკა შევცვალეთ, განაპირა ნახევარმცველები გააქტიურდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა"

დანი კარვალიუ მატჩის საუკეთესოდ დაასახელეს: „ბედნიერი ვარ, რომ ასე დამაფასეს, ყველა თანაგუნდელს ვულოცავ. პირველ ტაიმში სამარცხვინოდ ვითამაშეთ, მეორეში კი ძალიან კარგად. ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებ, რომ ფეხბურთის ისტორიის ნაწილი გავხდი".

ვაგნერ ლავი: „ჩვენ გრძელი გზა გავიარეთ. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვვარდით, მაგრამ უეფას თასის ფინალში გავედით. არ მეგონა, თუ 20 წლისა ასეთ ტურნირს მოვიგებდი. პირველ ტაიმში საშინლად ვითამაშეთ, მაგრამ შესვენების შემდეგ მასპინძლებს ვაჯობეთ".

„სპორტინგის" მწვრთნელი ჟოზე პეშეირო: „ცსკა ყველაზე ძლიერი გუნდია მათ შორის, რომლებსაც ამ სეზონში შევხვდით. ვიცოდი, რომ ჩვენს მეტოქეს კონტრშეტევებზე თამაში კარგად ეხერხება. შესვენებამდე მოედანზე ვითარებას ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ მეორე ნახევარში იღბალი ცსკა-ს მიემხრო".

ჟოზე პეშეირომ დაჯილდოებისას თავის ვერცხლის მედალი მოიხსნა და უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს დაუბრუნა. „პროტესტის ნიშნად არ გამიკეთებია — განმარტა მწვრთნელმა — სულ ოცდახუთი მედალია და არ მინდა, რომელიმე ფეხბურთელს დააკლდეს. მათ ეს დაიმსახურეს".

**მაჟა ხუციშვილი**

# ქალბატონი თავს ილამაზებს, გაახალგაზრდავება უნდა
## მონტერო მოიგებს და წავა

*ტურინის „იუვენტუსი" უკანა ხაზის გადახალისებას აგრძელებს. სეზონის ბოლოს გუნდს პაოლო მონტერო დატოვებს. ურუგვაელს „ბებერ ქალბატონთან" კონტრაქტი ეწურება და კარიერას სავარაუდოდ, ესპანეთში გააგრძელებს. ალბათ, ფრანგი ნახევარმცველი ოლივიე კაპოც წავა „დელე ალპიდან" — „ოსერის" ყოფილმა ფეხბურთელმა მოლოდინი ვერ გაამართლა და ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ზის.*

*დაცვის გაძლიერებას კი ფაბიო კაპელო თავისი კიდევ ერთი ყოფილი შეგირდით, ვალტერ სამუელით აპირებს. გარდა ამისა, ტურინელები „მესინას" ორ მოთამაშეს, ალესანდრო პარიზისა და მარკო ძანკის აკვირდებიან. ეს უკანასკნელი სიცილიურ კლუბში არენდის წესით ბურთაობს, ისე კი სწორედ ტურინელთა საკუთრებაა*



**„ვფიქრობ,** ჩემი იტალიური ერა დასასრულს მიუახლოვდა. ფაბიო კაპელოსთან უთანხმოება არ მაქვს, უბრალოდ, თანაგუნდელები თამაშობენ ძალიან კარგად და ძირითად შემადგენლობაში ამიტომ ვერ ვხვდები. ძალიან მიხარია, რომ სერია **A**-ში გამარჯვებასთან ახლოს ვართ და „დელე ალპის" მორიგი სკუდეტოს მოპოვების შემდეგ დავტოვებ. ჩემი აზრით, კიდევ ორი წელი შევძლებ მაღალ დონეზე თამაშს და მინდა, ძალები პრიმერადივიზიონში მოვსინჯო. ესპანური ფეხბურთი ყოველთვის მიზიდავდა. კარიერის დასრულებას კი მშობლიურ „პენიაროლში" ვაპირებ, მაგრამ იქამდე ჯერ დროა" — თქვა 33 წლის მონტერომ.

შეგახსენებთ, რომ ურუგვაელი მცველი იტალიაში 1992 წელს გამოჩნდა, როდესაც „ატალანტაში" გადაბარგდა. 1996 წელს კი მან „იუვეს" მაისურა მოირგო.

ოლივიე კაპოს საქმე ცოტა სხვაგვარადაა. 24 წლის ნახევარმცველმა თავი ვერაფრით გამოიჩინა და ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი მომავალ სეზონშიც მიზერული ექნება, მაგრამ ფრანგი მაინც ფეხს ითრევს და ბოლომდე არ გადაუწყვეტია გუნდის გამოცვლა.

მსურველი კი არაერთია, მათ შორის „მონაკო", „ნიუკასლი" და „ბეტისი". თავად ფეხბურთელს განსაკუთრებით სამშობლოში დაბრუნების და დიდიე დეშანთან ერთად მუშაობის პერსპექტივა ხიბლავს. თუმც გადაწყვეტილების მიღებას მაინც არ ჩქარობს. არ არის გამორიცხული, კაპომ განათხოვრება ირჩიოს, რათა კვლავ „იუვეში" დაბრუნდეს.

„სხვა კლუბების ინტერესი ძალიან მსიამოვნებს და რეგულარულად თამაშიც მინდა, მაგრამ ჯერ კიდევ ვფიქრობ. მაგალითად, პაველ ნედვედი მეუბნება, რომ დავრჩე და „იუვეში" ჩემი ადგილისთვის ვიბრძოლო" — აღნიშნა კაპომ.

ამასობაში იმაზეც ალაპარაკდნენ, რომ „იუვენტუსი" შეეცდება, ვალტერ სამუელი შეიძინოს, რათა დაცვის ხაზი კიდევ უფრო გაამაგროს და შემდეგ სეზონში გუნდის წამყვან ფეხბურთელებს დასვენების საშუალება ჰქონდეთ. იტალიაში დაბრუნებაზე უარს სავარაუდოდ არც თავად არგენტინელი იტყვის, რადგანაც იგი „რეალს" ვერ მოერგო. თუმც გადამწყვეტ სიტყვას მადრიდელები იტყვიან.

ამბობენ, „რეალი" ტრანსფერს იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ „იუვენტუსი" თავის ერთ-ერთ ფეხბურთელს დაუთმობსო. მადრიდელებს ჯიჯი ბუფონი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ემერსონი აინტერესებთ, მაგრამ ტურინელები ამ სამეულის გასხვისებას კატეგორიულად გამორიცხავენ.

„მესინას" მცველი ალესანდრო პარიზი, რომელსაც „იუვე" წინა ზაფხულსაც უტრიალებდა, ტურინელებთან ერთად იაპონიის ტურნეში წავა. თუ იგი კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს, მხარეები კონტრაქტსაც გააფორმებენ.

დაახლოებით იგივე ბედი ელის მარკო ძანკისაც, მაგრამ, პარიზისგან განსხვავებით, იგი უკვე „ბებერი ქალბატონის" საკუთრებაა.

**გიორგი ძაძაბაძე**




**იტალიური** „რომას" ნახევარმცველი ამანტინო მანსინი გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. ბრაზილიელმა უკვე სთხოვა თავის აგენტსა და სერია **A**-ს ყოფილ ვარსკვლავ ალემაოს, სხვა კლუბში გადასვლის ვარიანტები განიხილოს. „მანსინი მართლაც მესაუბრა, მაგრამ რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, არ ვიცი" — განაცხადა ალემაომ.

**გერმანული** „ჰამბურგი" საცაა, რაფაელ ვან დერ ვაარტს გადაიბირებს. მოლაპარაკება უკვე გადამწყვეტ ფაზაში შედის. „მე ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ და „ჰამბურგში" გადასვლა ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, თუმც გადაწყვეტილი არაფერია, მაშინ ბუნდესლიგაში, გერმანელთა ბოლო მატჩს დაესწრება და მისი აზრიც ძალიან მნიშვნელოვანია — თქვა „აიაქსის" ნახევარმცველმა.

**კოსტა რიკის** ნაკრების თავდამსხმელი უეინ უილსონი ოთხშაბათს საავადმყოფოში გარდაიცვალა. იგი გასულ შაბათს ავარიაში მოჰყვა. ექიმებმა ყველაფერი იღონეს მის გადასარჩენად, მაგრამ 29 წლის ფეხბურთელის მანქანა სატვირთო ავტომობილს შეეჯახა.

**იტალიელი** თავდამსხმელი ბერნარდო კორადი მომავალ ზაფხულს „ვალენსიას" გაეყრება. „ბერნარდოს არცთუ წარმატებული სეზონი ჰქონდა, ისევე როგორც „ვალენსიაში" გადასულ სხვა იტალიელებს. იგი ფიორესთან ერთად ესპანურ კლუბს დატოვებს. კორადი იტალიაში დაბრუნდება ან კარიერას ინგლისში გააგრძელებს" — თქვა ფეხბურთელის აგენტმა მორენო როგიმ.

**ინგლისური** „ბირმინგემი" ესპანური „რასინგის" ნახევარმცველ ფერნანდო მორანის შემატებას აპირებს. თავად 29 წლის ფეხბურთელმა უკვე აღნიშნა, რომ სანტანდერელებთან კონტრაქტს აღარ გააგრძელებს და გუნდს გამოიცვლის. „ბირმინგემს" სერიოზული მეტოქე ჰყავს მადრიდის „ატლეტიკოს" სახით.

**გერმანულმა** „შალკემ" ეგებ „ჩელსის" ფინელი თავდამსხმელი მიკაელ ფორსელი დაიმატოს. გელზენკირხენელებს მისი შეძენა წინა ზაფხულსაც სურდათ, მაგრამ მაშინ ვერ მოახერხეს. ახლა კი გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური თითქმის გაინაღდა. თანაც „შალკეს" დატოვებას აპირებს ბრაზილიელი აილტონი, რომელსაც ღირსეული შემცვლელი სჭირდება.

**იტალიური** „პალერმოს" მცველმა ანდრეა ბარძალიმ განაცხადა, რომ სიცილიელთა რიგებიდან წასვლას არ აპირებს. „ეს სეზონი ძალიან მომსვლია. აქ ძალიან ბედნიერი ვარ. ყველაფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცვლება, თუ კლუბი ჩემს გაყიდვას გადაწყვეტს, ვიცი, რომ „იუვენტუსი" მაკვირდება" — აღნიშნა ფეხბურთელმა.

**ინგლისური** „საუთჰემპტონის" თავკაცი ჰარი რედნაპი, მიუხედავად „წმინდანების" პრემიერლიგიდან გავარდნისა, პოსტზე დარჩება. „გადავწყვიტე, დავრჩე, რადგანაც თავს დამნაშავედ ვგრძნობ. აუცილებლად ვეცდები, გუნდი პრემიერლიგაში დავაბრუნო. ხელმძღვანელობისგანაც სრული მხარდაჭერა მაქვს. ახლა მთავარია, ფეხბურთელები შევინარჩუნოთ" — განაცხადა გამოცდილმა სპეციალისტმა.

**შოტლანდიური** „ჰართსი" „ბრუშას" ლიტველ მცველ მარიუს სტანკევიჩიუსით დაინტერესდა. შეგახსენებთ, რომ ედინბურგელთა მფლობელი ცნობილი ბიზნესმენი და სტანკევიჩიუსის თანამემამულე ვლადიმირ რომანოვია. მხარეებს შორის მოლაპარაკება უკვე დაიწყო.

**გერმანული** „მაინცი" ჩეხ ფორვარდ პეტრ რუმანით გაძლიერდა. ეს უკანასკნელი ბოლო 6 წლის განმავლობაში მეორე ბუნდესლიგის ბინადარ „ფიურტში" ბურთაობდა. როგორც ამბობენ, „მაინცმა" მასში 150 ათასი ევრო გადაიხადა. რუმანმა თავის ახალ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**იტალიური** „ლეჩეს" ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ კლუბის წამყვანი ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი სულ ცოტა, ერთი წლით მაინც „ვია დელ მარიზე" დარჩება. „გადაწყვეტილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევიცვლით, თუ ისეთ წინადადებას მივიღებთ, რომელზედაც უარის თქმაც წარმოუდგენელი იქნება" — აღნიშნა „ლეჩეს" პრეზიდენტმა რიკო სერმანომ. შეგახსენებთ, რომ 21 წლის ფეხბურთელს სერია **A**-ში 17 გოლი დაუგროვდა.

**ჰოლანდიელი** ფორვარდის, პატრიკ კლუივერტის ამბავი საბოლოოდ გადაწყდა — „ნიუკასლის" თავკაცი გრემ სუნესი „ბარსას" ყოფილი თავდამსხმელის თამაშით უკმაყოფილოა. 28 წლის ფეხბურთელი სავარაუდოდ „ალკმაარს" შეუერთდება.

**გერმანული** „მიონხენგლადბახის" თავკაცად დროებით ჰორსტ კოეპელი დანიშნეს. ამჟამად გუნდის ხელმძღვანელობა ახალი მწვრთნელის ძიებაშია, თუმც გერმანული პრესა არ გამორიცხავს, რომ კოეპელი ამ თანამდებობაზე შემდეგ სეზონშიც იმუშავებს.

**პოლონეთის** ნაკრებისა და კრაკოვის „ვისლას" ფორვარდი მაცეი ჟურავსკი შესაძლოა, ბუნდესლიგაში დაბრუნებულ „კიოლნში" აღმოჩნდეს. ასეთია გერმანელების სურვილი, თუმც ჟურავსკის ლივერპულის „ევერტონი" და ვენის „აუსტრია" ეპატიჟება.

### შვეიცარია

**სუპერლიგა. XXXII ტური**

აარაუ 0:1 შაფჰაუზენი
სენტ გალენი 5:0 ქსამაქსი
იანგ ბოისი 3:2 გრასჰოპერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 32 | 20 | 7 | 5 | 78:41 | 67 |
| თუნი | 32 | 17 | 6 | 9 | 63:35 | 57 |
| იანგ ბოისი | 32 | 11 | 12 | 9 | 55:50 | 45 |
| გრასჰოპერი | 31 | 10 | 13 | 8 | 42:45 | 43 |
| ციურიხი | 31 | 10 | 9 | 12 | 45:53 | 39 |
| ქსამაქსი | 31 | 10 | 8 | 13 | 34:42 | 38 |
| სენტ გალენი | 32 | 8 | 11 | 13 | 47:54 | 35 |
| შაფჰაუზენი | 33 | 7 | 11 | 15 | 35:55 | 32 |
| აარაუ | 32 | 7 | 10 | 15 | 41:61 | 31 |

### შვედეთი

**ალსვენსკა. VI ტური**

ჰამარბი 2:1 იურგორდენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:5 | 13 |
| კალმარი | 6 | 3 | 2 | 1 | 4:1 | 11 |
| ჰეკენი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:6 | 10 |
| ჰალმსტადი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:7 | 10 |
| იურგორდენი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 10 |
| გიოტებორგი | 6 | 2 | 3 | 1 | 4:5 | 9 |
| ლანდსკრონა | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 8 |
| ჰამარბი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| იორგრიტე | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| გეფლე | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| ასირისკა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:7 | 4 |
| სუნდსვალი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:13 | 4 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | 4 |

### მექსიკა

**კლაუსურა. პლეი ოფი**
**ნახევარფინალი**
**პირველი მატჩი**

ტეკოსი 1:0 მორელია

### აშშ

**მეიჯორ სოკერ ლიგა**
**გადადებული მატჩები**

დალასი 2:1 კოლორადო
სოლტ ლეიკი 2:0 ჩივასი

Copa Toyota Libertadores '2005

### ლიბერტადორესის თასი 2005

**მერვედფინალი**
**პირველი მატჩები**

ბანფილდი (არგენტინა) 3:0 ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)
პალმეირასი (ბრაზილია) 0:1 სან პაულუ (ბრაზილია)
პაჩუკა (მექსიკა) 1:1 გვადალახარა (მექსიკა)

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08
Fax: 94 33 80

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 15:05 | 5 | მაკლსფილდი-ლინკოლნი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:15 | 6 | საუთენდი-ნორთჰემპტონი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 7 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 2.8 | 3.1 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.3 |
| 18:00 | 8 | კილმარნოკი-დანფერმლაინი | 1.9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 18:00 | 9 | ლივინგსტონი-დანდი | 2.2 | 3.2 | 2.85 | 1.3 | 1.24 | 1.5 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 10 | მოზერუელი-სელტიკი | 12.0 | 5.5 | 1.15 | 3.77 | 1.04 | 1.0 |
| 17:00 | 11 | აბერდინი-ჰართსი | 1.6 | 3.6 | 4.7 | 1.1 | 1.19 | 2.03 |
| 17:00 | 12 | ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 8.0 | 4.2 | 1.3 | 2.75 | 1.11 | 1.0 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 13 | არმინია-ვოლფსბურგი | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 17:30 | 14 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.3 | 4.8 | 8.0 | 1.02 | 1.11 | 3.0 |
| 17:30 | 15 | ფრაიბურგი-შალკე | 7.0 | 4.5 | 1.35 | 2.73 | 1.13 | 1.03 |
| 17:30 | 17 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.55 | 3.7 | 5.0 | 1.09 | 1.18 | 2.12 |
| 17:30 | 18 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.3 | 5.0 | 8.0 | 1.03 | 1.11 | 3.07 |
| 17:30 | 19 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.23 | 1.14 |
| 17:30 | 20 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.4 | 3.9 | 8.0 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| 17:30 | 21 | ნიურნბერგი-მაინცი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 17:30 | 22 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 23 | ალემანია-ფიურტი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 17:00 | 24 | დინამო-ერფურტი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 17:00 | 25 | აინტრახტი-ბურგჰაუზენი | 1.25 | 5.0 | 7.5 | 1.0 | 1.07 | 3.0 |
| 17:00 | 26 | კარლსრუე-კოტბუსი | 3.0 | 2.3 | 2.8 | 1.3 | 1.44 | 1.26 |
| 17:00 | 27 | კიოლნი-დუისბურგი | 1.9 | 3.2 | 3.4 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| 17:00 | 28 | მიუნხენი 1860-ალენი | 1.45 | 5.0 | 4.2 | 1.12 | 1.07 | 2.28 |
| 17:00 | 29 | ობერჰაუზენი-აუე | 2.3 | 3.4 | 2.55 | 1.37 | 1.2 | 1.45 |
| 17:00 | 30 | ესენი-უნტერჰახინგი | 2.2 | 3.3 | 2.75 | 1.32 | 1.22 | 1.5 |
| 17:00 | 31 | ზაარბრიუკენი-ტრირი | 2.35 | 2.8 | 2.9 | 1.27 | 1.29 | 1.42 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 52 | აუსტრია-შტურმი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 20:30 | 53 | გრაცერი-ტიროლი | 1.3 | 4.2 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.75 |
| 20:30 | 54 | მატერსბურგი-ბრეგენცი | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 20:30 | 55 | პაშინგი-ადმირა | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:30 | 56 | ზალცბურგი-რაპიდი | 3.5 | 3.0 | 1.95 | 1.61 | 1.25 | 1.18 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 57 | აუსტრია(ლ)-რიდი | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| 21:00 | 58 | გრატკორნი-უნტერზიბენბრიუნი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 21:00 | 59 | კაფენბერგი-ვიორგლი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 21:00 | 61 | ლინცერი-ალტახი | 1.7 | 3.3 | 4.4 | 1.12 | 1.22 | 1.88 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 19:00 | 60 | კერნტენი-ლეობენი | 1.6 | 3.4 | 4.7 | 1.08 | 1.19 | 1.97 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 96 | მილანი-პალერმო | 2.15 | 2.3 | 4.1 | 1.11 | 1.41 | 1.47 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17:00 | 89 | ატალანტა-რომა | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | 1.44 |
| 17:00 | 90 | ბრეშა-მესინა | 1.35 | 4.3 | 6.5 | 1.02 | 1.11 | 2.58 |
| 17:00 | 91 | კალიარი-უდინეზე | 3.6 | 3.1 | 1.9 | 1.66 | 1.24 | 1.17 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 92 | კიევო-ბოლონია | 2.1 | 2.8 | 3.6 | 1.2 | 1.32 | 1.57 |
| 17:00 | 93 | ლაციო-ფიორენტინა | 3.3 | 2.0 | 2.9 | 1.24 | 1.54 | 1.18 |
| 17:00 | 94 | ლივორნო-იუვენტუსი | 6.0 | 2.0 | 2.15 | 1.5 | 1.58 | 1.03 |
| 17:00 | 97 | პარმა-სიენა | 1.95 | 2.3 | 5.5 | 1.05 | 1.43 | 1.62 |
| 17:00 | 98 | რეჯინა-ლეჩე | 3.4 | 1.4 | 7.5 | 1.0 | 2.33 | 1.17 |
| 17:00 | 99 | სამპდორია-ინტერი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.5 | 3.9 | 5.4 | 1,08 | 1.17 | 2.26 |
| 23:45 | 121 | რეალი-ატლეტიკო | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 21:00 | 112 | ალბასეტე-სოსიედადი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.35 | 4.5 | 7.0 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 23:00 | 114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 21:00 | 116 | ხეტაფე-სევილია | 3.9 | 3.4 | 1.8 | 1.81 | 1.23 | 1.17 |
| 21:00 | 117 | დეპორტივო-მალიორკა | 2.45 | 3.4 | 2.5 | 1.42 | 1.23 | 1.44 |
| 21:00 | 118 | ლევანტე-ვალენსია | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| 21:00 | 119 | მალაგა-რასინგი | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 21:00 | 120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 134 | ბასტია-ლანსი | 1.95 | 3.4 | 3.3 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| 22:45 | 135 | ბორდო-მონაკო | 2.55 | 3.0 | 2.6 | 1.37 | 1.28 | 1.39 |
| 22:45 | 136 | ლილი-აიაჩო | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1:21 | 2.05 |
| 22:45 | 137 | მარსელი-ლიონი | 2.25 | 3.0 | 3.0 | 1.28 | 1.28 | 1.5 |
| 22:45 | 138 | მეცი-პსჟ | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 22:45 | 139 | ნიცა-ოსერი | 2.4 | 3.0 | 2.75 | 1.33 | 1.28 | 1.43 |
| 22:45 | 140 | რენი-სტრასბური | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 22:45 | 141 | სოშო-ნანტი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 142 | სტ.ეტიენი-ისტრი | 1.4 | 4.0 | 6,8 | 1.03 | 1.16 | 2.51 |
| 22:45 | 143 | ტულუზი-კაენი | 2.45 | 3.3 | 2.5 | 1.4 | 1.23 | 1.42 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 145 | ბრესტი-ლორიანი | 1.9 | 2.9 | 3.9 | 1.14 | 1.27 | 1.66 |
| 22:30 | 146 | შატორუ-ტრუა | 2.5 | 2.9 | 2.6 | 1.34 | 1.27 | 1.37 |
| 22:30 | 147 | კრეტეი-ლავალი | 1.6 | 3.3 | 4.8 | 1.07 | 1.2 | 1.95 |
| 22:30 | 148 | გრენობლი-ნანსი | 2.6 | 2.7 | 2.8 | 1.32 | 1.34 | 1.37 |
| 22:30 | 149 | გენიონი-ნიორი | 1.8 | 3.0 | 4.2 | 1.12 | 1.25 | 1.75 |
| 22:30 | 150 | ლე ავრი-გენგამი | 1.6 | 3.3 | 4.8 | 1.07 | 1.2 | 1.95 |
| 22:30 | 151 | ლე მანი-ამიენი | 1.75 | 2.9 | 4.6 | 1.09 | 1.26 | 1.77 |
| 22:30 | 152 | მონპელიე-დიჟონი | 2.15 | 2.8 | 3.3 | 1.21 | 1.3 | 1.51 |
| 22:30 | 153 | რეიმსი-კლერმონი | 2.1 | 3.0 | 3.3 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 22:30 | 154 | სედანი-ანჟე | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 155 | სერკლი-გენკი | 3.8 | 3.6 | 1.7 | 1.84 | 1.17 | 1.15 |
| 22:00 | 156 | გენტი-ვესტერლო | 1.65 | 3.6 | 4.4 | 1.13 | 1.2 | 1.98 |
| 22:00 | 157 | ლიერსი-ლუვიე | 1.95 | 3.4 | 3.5 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| 22:00 | 158 | ბეერსხოტი-ბევერენი | 1.8 | 3.5 | 3.8 | 1.18 | 1.22 | 1.82 |
| 22:00 | 159 | სტ.ტრუიდენი-ბრიუგე | 4.0 | 3.5 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 22:00 | 160 | ოსტენდე-სტანდარდი | 5.0 | 4.4 | 1.45 | 2.34 | 1.12 | 1.09 |
| 22:00 | 161 | მუსკრონი-ბრიუსელი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 22:00 | 162 | ანდერლეხტი-მონსი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 163 | შარლერუა-ლოკერენი | 1.75 | 3.5 | 4.0 | 1.16 | 1.21 | 1.86 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 16:30 | 164 | აიაქსი-გრონინგენი | 1.25 | 5.5 | 9.0 | 1.01 | 1.09 | 3.41 |
| 16:30 | 165 | აიაქსი-გრონინგენი 0:1 | 1.45 | 4.0 | 3.6 | 1.0 | 1.0 | 1.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 166 | ალკმაარი-როზენდალი | 1.35 | 4.4 | 7.5 | 1.03 | 1.14 | 2.77 |
| 16:30 | 167 | ალკმაარი-როზენდალი 0:1 | 1.65 | 3.9 | 2.9 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 16:30 | 168 | გრააფსხაპი-ვიტესი | 2.15 | 3.3 | 2.95 | 1.3 | 1.24 | 1.55 |
| 16:30 | 169 | დენ ბოსხი-უტრეხტი | 1.85 | 3.5 | 3.6 | 1.21 | 1.22 | 1.77 |
| 16:30 | 170 | ფეიენოორდი-დენ ჰააგი | 1.3 | 4.9 | 8.5 | 1.02 | 1.12 | 3.1 |
| 16:30 | 171 | ფეიენოორდი-დენ ჰააგი 0:1 | 1.45 | 3.9 | 3.5 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 16:30 | 172 | ჰერენვეენი-ნაიმეგენი | 1.55 | 3.7 | 5.2 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 16:30 | 173 | ბრედა-ტვენტე | 2.65 | 3.4 | 2.35 | 1.48 | 1.24 | 1.38 |
| 16:30 | 174 | როდა-პსვ | 3.5 | 3.4 | 1.9 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| 16:30 | 175 | ტილბურგი-ვალვაიკი | 2.0 | 3.4 | 3.3 | 1.25 | 1.24 | 1.67 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი**

**20 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:15 | 176 | იგლსი-სპარტა | 5.0 | 3.6 | 1.6 | 2.09 | 1.21 | 1.1 |
| 21:15 | 177 | ჰერაკლესი-ვეენდამი | 1.35 | 3.8 | 8.5 | 1.0 | 1.16 | 2.62 |
| 22:00 | 178 | ვოლენდამი-ოსი | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 22:00 | 179 | ჰაარლემი-კამბური | 2.0 | 3.4 | 3.1 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 22:00 | 180 | ჰელმონდი-ვენლო | 2.05 | 3.4 | 3.0 | 1.27 | 1.21 | 1.59 |
| 22:00 | 181 | აპელდორნი-დორდრეხტი | 1.95 | 3.5 | 3.1 | 1.25 | 1.19 | 1.64 |
| 22:00 | 182 | ემენი-მაასტრიხტი | 2.0 | 3.5 | 3.1 | 1.27 | 1.21 | 1.64 |
| 22:00 | 183 | ექსელსიორი-ზვოლე | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 22:00 | 184 | სიტარდი-ტელსტარი | 3.2 | 3.4 | 2.0 | 1.64 | 1.23 | 1.25 |

**პორტუგალია. სუპერლიგა**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 185 | ბეირა მარი-ვიმარაეში | 2.65 | 3.3 | 2.4 | 1.46 | 1.25 | 1.38 |
| 19:00 | 186 | ბელენენსეში-სეტუბალი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 22:15 | 187 | ბოავიშტა-ბენფიკა | 4.5 | 2.9 | 1.85 | 1.76 | 1.31 | 1.12 |
| 19:00 | 188 | ლეირია-რიუ ავე | 2.0 | 3.0 | 3.9 | 1.2 | 1.32 | 1.69 |
| 22:15 | 189 | მორეირენსე-ბრაგა | 3.1 | 3.3 | 2.1 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 190 | პენაფიელი-ჟილ ვისენტე | 1.9 | 3.3 | 3.8 | 1.2 | 1.26 | 1.76 |
| 22:15 | 191 | პორტუ-აკადემიკა | 1.2 | 5.5 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.54 |
| 22:15 | 192 | პორტუ-აკადემიკა 0:1 | 1.45 | 4.0 | 3.8 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 22:15 | 193 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.25 | 5.0 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.14 |
| 22:15 | 194 | სპორტინგი-ნასიონალი 0:1 | 1.5 | 4.3 | 3.2 | 1.0 | 1.0 | 1.0 |
| 19:00 | 195 | ეშტორილი-მარიტიმუ | 2.45 | 3.2 | 2.7 | 1.38 | 1.28 | 1.46 |

**რუსეთი**

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 214 | მოსკოვი-ტომსკი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 15:00 | 215 | როსტოვი-დინამო | 2.8 | 3.0 | 2.4 | 1.44 | 1.29 | 1.33 |
| 15:00 | 216 | რუბინი-ტერეკი | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| 15:00 | 217 | შინიკი-ზენიტი | 3.0 | 3.0 | 2.25 | 1.5 | 1.28 | 1.28 |

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 218 | სპარტაკი-ცსკა | 2.9 | 3.0 | 2.3 | 1.47 | 1.28 | 1.3 |
| 15:00 | 219 | ამკარი-ალანია | 1.8 | 3.1 | 4.3 | 1.13 | 1.26 | 1.8 |
| 15:00 | 220 | სატურნი-კრილია | 2.0 | 3.0 | 3.5 | 1.2 | 1.27 | 1.61 |
| 15:00 | 221 | ტორპედო-ლოკომოტივი | 2.85 | 3.1 | 2.35 | 1.48 | 1.28 | 1.33 |

**პოლონეთი**

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 222 | ამიკა-პოგონი | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 20:00 | 223 | კრაკოვია-კატოვიცე | 1.25 | 4.8 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.0 |
| 20:00 | 224 | გურნიკი-გროცლინი | 2.8 | 3.1 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.3 |
| 20:00 | 225 | ლეხი-ლეჩნა | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| 20:00 | 227 | ოდრა-პოლონია | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |
| 20:00 | 228 | ზაგლებე-პლოცკი | 2.05 | 3.1 | 3.1 | 1.23 | 1.23 | 1.54 |

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 226 | ლეგია-ვისლა | 2.9 | 3.1 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |

**ჩეხეთი**

**20 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 235 | დრნოვიცე-ბანიკი | 2.35 | 2.9 | 2.9 | 1.29 | 1.29 | 1.45 |

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 229 | ოპავა-სიგმა | 3.3 | 3.4 | 1.9 | 1.67 | 1.2 | 1.21 |
| 19:00 | 230 | ბუდეიოვიცე-ზლინი | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 16:25 | 231 | სლავია-ბლშანი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| 22:00 | 232 | სლოვაცკო-პრჟიბრამი | 1.65 | 3.2 | 4.8 | 1.08 | 1.22 | 1.91 |
| 19:00 | 233 | ტეპლიცე-ლიბერეცი | 1.95 | 3.2 | 3.3 | 1.21 | 1.22 | 1.62 |

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 234 | იაბლონეცი-სპარტა | 3.3 | 3.0 | 2.1 | 1.57 | 1.28 | 1.23 |
| 19:00 | 236 | ბრნო-ბოლესლავი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |

**სლოვაკეთი**

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 242 | ინტერი-პუხოვი | 1.7 | 3.5 | 3.9 | 1.14 | 1.18 | 1.84 |
| 21:30 | 243 | ტრენჩინი-რუჟომბეროკი | 2.15 | 2.9 | 3.1 | 1.23 | 1.26 | 1.49 |
| 21:30 | 244 | ტრნავა-ბ.ბისტრიცა | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 21:30 | 245 | ჟილინა-დუბნიცა | 1.45 | 3.7 | 5.7 | 1.04 | 1.15 | 2.24 |

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12:30 | 246 | პეტრჟალკა-სობოტა | 1.3 | 4.5 | 7.0 | 1.0 | 1.09 | 2.73 |

**დანია. I დივიზიონი**

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 290 | დალუმი-ვეილე | 2.9 | 3.6 | 2.0 | 1.6 | 1.18 | 1.28 |
| 17:00 | 291 | ბრიონსპიოი-ფრემი | 4.2 | 3.8 | 1.6 | 1.99 | 1.15 | 1.12 |

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:00 | 292 | აკადემისკი-ჰელერუპი | 2.05 | 3.7 | 2.8 | 1.31 | 1.18 | 1.59 |
| 15:00 | 293 | ბ 93-სიონდერიისკე | 5.5 | 4.6 | 1.4 | 2.5 | 1.11 | 1.07 |
| 15:00 | 294 | ფრემადი-ნესტვედი | 1.65 | 3.9 | 4.0 | 1.15 | 1.16 | 1.97 |
| 17:00 | 295 | ჰორსენსი-ფრედერისია | 1.4 | 4.4 | 5.5 | 1.06 | 1.11 | 2.44 |
| 17:00 | 296 | კიოგე-იოლსტიკე | 1.35 | 4.5 | 6.0 | 1.03 | 1.1 | 2.57 |
| 17:00 | 297 | ნიკიობინგი-სკიოლდი | 2.25 | 3.7 | 2.5 | 1.39 | 1.18 | 1.49 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 305 | ბოდიო გლიმტი-ალესუნდი | 1.85 | 3.4 | 3.7 | 1.19 | 1.23 | 1.77 |
| 20:00 | 306 | ლინი-ჰამარი | 1.85 | 3.4 | 3.8 | 1.19 | 1.24 | 1.79 |
| 20:00 | 307 | რუსენბორგი-მოლდე | 1.45 | 4.0 | 6.5 | 1.06 | 1.18 | 2.47 |
| 20:00 | 308 | სტარტი-ბრანი | 2.55 | 3.3 | 2.5 | 1.43 | 1.26 | 1.42 |
| 20:00 | 309 | ვიკინგი-ოდ გრენლანდი | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 22:05 | 310 | ლილესტრიომი-ვოლერენგა | 2.6 | 3.1 | 2.55 | 1.41 | 1.28 | 1.59 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 311 | ფრედრიკსტადი-ტრომსიო | 2.25 | 3.3 | 2.9 | 1.33 | 1.26 | 1.54 |

**ნორვეგია. I დივიზიონი**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 320 | ალტა-ტონსბერგი | 2.5 | 4.0 | 2.2 | 1.53 | 1.17 | 1.41 |
| 20:00 | 321 | ბრინი-მანდალი | 1.5 | 4.2 | 5.0 | 1.1 | 1.15 | 2.28 |
| 20:00 | 322 | ჰიონეფოსი-ჰიოდი | 2.1 | 4.0 | 2.6 | 1.37 | 1.16 | 1.57 |
| 20:00 | 323 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 2.35 | 3.9 | 2.35 | 1.46 | 1.17 | 1.46 |
| 20:00 | 324 | მოსი-სტრიომსგოდსეტი | 2.0 | 3.9 | 2.8 | 1.32 | 1.16 | 1.62 |
| 20:00 | 325 | ჰორს გრენლანდი-კონგსვინგერი | 2.35 | 3.9 | 2.3 | 1.46 | 1.16 | 1.44 |
| 20:00 | 326 | სანდეფიორდი-ფოლო | 1.25 | 5.5 | 7.5 | 1.01 | 1.07 | 3.17 |
| 20:00 | 327 | სტაბეკი-სოგნდალი | 2.1 | 3.6 | 2.85 | 1.32 | 1.2 | 1.59 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 332 | ჰეკენი-გეფლე | 1.65 | 3.5 | 4.5 | 1.12 | 1.2 | 1.96 |
| 19:00 | 333 | ჰელსინგბორგი-კალმარი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 19:00 | 334 | სუნდსვალი-მალმიო | 3.8 | 3.3 | 1.85 | 1.76 | 1.24 | 1.18 |

**შვედეთი. სუპერეტა**

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 341 | ატვიდაბერგი-ვესტეროსი | 1.55 | 3.6 | 5.0 | 1.08 | 1.18 | 2.09 |
| 18:00 | 342 | ბრომაპოიკარნა-დეგერფორსი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 18:00 | 343 | ლიუნგსკილე-ტრელებორგი | 2.4 | 3.2 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 344 | ბოდენსი-იოსტერსი | 2.85 | 3.3 | 2.2 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| 18:10 | 345 | ფრიოლუნდა-გაის | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 19:00 | 346 | მიალბი-აიკ | 3.6 | 3.3 | 1.9 | 1.72 | 1.24 | 1.2 |
| 19:00 | 347 | ვესბი-ნორჩიოპინგი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 348 | იორებრო-ფალკენბერგი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |

**ფინეთი**

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 357 | ტამპერე-ჰაკა | 2.45 | 3.2 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 358 | ალიანსი-ლაჰტი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 20:00 | 359 | ინტერი-როვანიემი | 1.5 | 3.8 | 5.5 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 20:00 | 360 | იარო-მიუპა | 4.0 | 3.5 | 1.7 | 1.86 | 1.19 | 1.14 |
| 20:00 | 361 | კტპ-კუოპიო | 1.75 | 3.4 | 3.9 | 1.15 | 1.2 | 1.81 |
| 17:00 | 362 | ტპ 47-მარიეჰამნი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22:45 | 363 | ბრეი-ბოჰემიანი | 2.45 | 3.0 | 2.7 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| 22:45 | 364 | დერი-სტ.პატრიკსი | 1.75 | 3.2 | 4.3 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 22:45 | 365 | დროგედა-პერპსი | 1.5 | 3.6 | 5.5 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 22:45 | 366 | შემროკი-უოტერფორდი | 2.35 | 3.0 | 2.8 | 1.31 | 1.27 | 1.44 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 368 | ლონგფორდი-დუბლინი | 1.9 | 3.1 | 3.8 | 1.17 | 1.26 | 1.7 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 390 | ლანუსი-ნიუელსი | 1.95 | 3.3 | 3.3 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 23:45 | 393 | სან ლორენსო-არსენალი | 1.95 | 3.3 | 3.2 | 1.22 | 1.21 | 1.62 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 388 | ურაკანი-რასინგი | 4.7 | 3.4 | 1.6 | 1.97 | 1.19 | 1.08 |
| 23:45 | 394 | ველესი-ბანფილდი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 385 | ალმაგრო-კილმესი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:00 | 386 | ბოკა ხუნიორსი-რივერ პლეიტი | 2.3 | 3.1 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 22:30 | 387 | ხიმნასია-ინსტიტუტო | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 22:30 | 389 | ინდეპენდიენტე-არგენტინოს ხუნიორსი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 22:30 | 391 | ოლიმპო-ესტუდიანტესი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| 22:30 | 392 | როსარიო-კოლონი | 1.85 | 3.3 | 3.6 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 395 | ფორტალესა-ბრაზილიენსე | 2.0 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.6 |
| 23:00 | 396 | ჟუვენტუდი-პაისანდუ | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 23:00 | 397 | პარანა-პონტე პრეტა | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| 23:45 | 398 | გოიასი-ბოტაფოგო | 2.15 | 3.3 | 2.75 | 1.3 | 1.2 | 1.5 |
| 23:45 | 399 | ფლუმინენსე-კურიტიბა | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 400 | სანტოსი-ატლეტიკო მნ | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 23:00 | 401 | სან კაეტანო-ფლამენგო | 1.9 | 3.3 | 3.3 | 1.2 | 1.2 | 1.64 |
| 23:00 | 402 | ვასკუ და გამა-სან პაულუ | 2.65 | 3.3 | 2.3 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 23:45 | 403 | ატლეტიკო პრ-ინტერნასიონალი | 2.1 | 3.3 | 2.9 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 404 | კორინთიანსი-ფიგეირენსე | 1.35 | 3.9 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.56 |
| 23:45 | 405 | კრუზეირო-პალმეირასი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **ურუგვაი** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 22:00 | 406 | დანუბიო-დეფენსორი | 2.0 | 3.2 | 3.2 | 1.23 | 1.23 | 1.6 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 407 | ლივერპული-რენტისტასი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 22:00 | 408 | მირამარი-უონდერერსი | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 22:00 | 409 | ნასიონალი-სერო | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |
| 22:00 | 410 | პლასა-კოლონია | 2.75 | 3.2 | 2.2 | 1.47 | 1.22 | 1.3 |
| 22:00 | 411 | რამპლა-პაისანდუ | 2.35 | 3.2 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 22:00 | 412 | რივერ პლეიტი-პენიაროლი | 3.7 | 3.3 | 1.8 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 22:00 | 413 | როხა-სერიტო | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 22:00 | 414 | ტაკუარემბო-ფენიქსი | 2.1 | 3.3 | 2.85 | 1.28 | 1.2 | 1.52 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23:30 | 416 | უაჩიპატო-აუდაქსი | 1.5 | 3.8 | 5.0 | 1.07 | 1.15 | 2.15 |
| 23:45 | 417 | სერენა-კოკიმბო | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 418 | მელიპილა-კობრესალი | 2.9 | 3.3 | 2.05 | 1.54 | 1.2 | 1.26 |
| 23:00 | 419 | პალესტინო-უნ.ესპანიოლა | 2.35 | 3.2 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 23:45 | 423 | უნ.კატოლიკა-ევერტონი | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 420 | პუერტო მონტი-ტემუკო | 2.1 | 3.3 | 2.85 | 1.28 | 1.2 | 1.52 |
| 20:00 | 421 | უონდერერსი-კობრელოა | 2.0 | 3.3 | 3.0 | 1.24 | 1.2 | 1.57 |
| 23:45 | 424 | უნ.ჩილე-რეინჯერსი | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 23:30 | 422 | სან ფელიპე-კოლო კოლო | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 18:00 | 426 | არსენალი-მანჩესტერი | 2.45 | 3.1 | 2.7 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| | | **საბერძნეთი. თასი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20:00 | 432 | ოლიმპიაკოსი-არისი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| | | **იაპონიის თასი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 9:00 | 369 | გამბა-ვერდი | 1.9 | 3.1 | 3.3 | 1.17 | 1.2 | 1.59 |
| 9:00 | 370 | ურავა-ნიიგატა | 1.65 | 3.4 | 4.4 | 1.11 | 1.2 | 1.91 |
| 10:00 | 371 | ტოკიო-იჩიპარა | 2.8 | 2.9 | 2.35 | 1.42 | 1.27 | 1.29 |
| 10:00 | 372 | კაშიმა-ჩერეძო | 1.7 | 3.3 | 4.2 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 10:00 | 373 | კაშივა-ოიტა | 2.5 | 3.0 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 10:00 | 374 | პიროსიმა-კავასაკი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 10:00 | 375 | კობე-ომია | 2.5 | 3.0 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| 14:30 | 376 | ნაგოია-შიმიცუ | 2.2 | 3.1 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |

## ფრეს ბარეშე(ძირ. დრო)

16013 არმინია-ვოლფსბურგი1.55 ------------------- 2.1
16014 დორტმუნდი-ჰანზა -- 1.05 ------------------- 5.8
16015 ფრაიბურგი-შალკე --- 4.6 ------------------- 1.1
16017 ჰამბურგი-ბოხუმი ---- 1.15 ------------------- 3.9
16018 ჰერტა-ჰანოვერი ----- 1.05 ------------------- 5.8
16019 კაისერსლაუტერნი-ვერდერი3.0 ---------------- 1.25
16020 ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი1.08 ---------------- 4.9
16021 ნიურნბერგი-მაინცი - 1.45 ------------------- 2.5
16022 შტუტგარტი-ბაიერნი 1.55 ------------------- 2.1
16112 ალბასეტე-სოსიედადი1.65 ------------------- 1.9
16113 ბილბაო-ნუმანსია ----- 1.1 ------------------- 4.8
16114 ბარსელონა-ვილიარეალი1.35 ------------------- 2.6
16115 ბეტისი-სარაგოსა ---- 1.16 ------------------- 3.9
16116 ხეტაფე-სევილია ------ 2.6 ------------------- 1.35
16117 დეპორტივო-მალიორკა1.8 ------------------- 1.8
16118 ლევანტე-ვალენსია -- 2.0 ------------------- 1.65
16119 მალაგა-რასინგი ----- 1.35 ------------------- 2.7
16120 ოსასუნა-ესპანიოლი - 2.0 ------------------- 1.65
16121 რეალი-ატლეტიკო --- 1.16 ------------------- 3.9

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10013 | არმინია-ვოლფსბურგი | 2.6 | 2.1 | 3.3 | 1.16 | 1.45 | 1.28 |
| 10014 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.45 | 3.0 | 7.0 | 1.0 | 1.2 | 2.09 |
| 10015 | ფრაიბურგი-შალკე | 6.0 | 2.8 | 1.6 | 1.9 | 1.26 | 1.01 |
| 10017 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.8 | 2.2 | 5.6 | 1.0 | 1.36 | 1.57 |
| 10018 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.4 | 3.0 | 7.5 | 1.0 | 1.17 | 2.14 |
| 10019 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 4.0 | 2.2 | 2.1 | 1.41 | 1.37 | 1.07 |
| 10020 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.7 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.32 | 1.66 |
| 10021 | ნიურნბერგი-მაინცი | 2.5 | 2.1 | 3.7 | 1.14 | 1.49 | 1.33 |
| 10022 | შტუტგარტი-ბაიერნი | 2.6 | 2.0 | 3.4 | 1.13 | 1.47 | 1.25 |
| 10089 | ატალანტა-რომა | 2.9 | 2.0 | 3.0 | 1.18 | 1.47 | 1.2 |
| 10091 | კალიარი-უდინეზე | 4.1 | 2.0 | 2.35 | 1.34 | 1.49 | 1.08 |
| 10092 | კიევო-ბოლონია | 2.6 | 1.9 | 4.0 | 1.09 | 1.57 | 1.28 |
| 10096 | მილანი-პალერმო | 2.6 | 1.9 | 4.2 | 1.09 | 1.6 | 1.3 |
| 10097 | პარმა-სიენა | 2.4 | 1.8 | 4.5 | 1.02 | 1.56 | 1.28 |
| 10099 | სამპდორია-ინტერი | 1.9 | 2.3 | 5.5 | 1.04 | 1.41 | 1.62 |
| 10112 | ალბასეტე-სოსიედადი | 2.8 | 2.2 | 3.2 | 1.23 | 1.49 | 1.3 |
| 10113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.6 | 2.4 | 7.0 | 1.0 | 1.3 | 1.78 |
| 10114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 2.4 | 2.0 | 4.2 | 1.09 | 1.52 | 1.35 |
| 10115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.85 | 2.4 | 5.0 | 1.04 | 1.35 | 1.62 |
| 10116 | ხეტაფე-სევილია | 4.0 | 2.2 | 2.3 | 1.41 | 1.46 | 1.12 |
| 10117 | დეპორტივო-მალიორკა | 2.9 | 2.1 | 3.0 | 1.21 | 1.47 | 1.23 |
| 10118 | ლევანტე-ვალენსია | 3.1 | 2.1 | 2.7 | 1.25 | 1.44 | 1.18 |
| 10119 | მალაგა-რასინგი | 2.4 | 2.1 | 4.0 | 1.12 | 1.5 | 1.37 |
| 10120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3.1 | 2.1 | 2.7 | 1.25 | 1.44 | 1.18 |
| 10121 | რეალი-ატლეტიკო | 1.8 | 2.3 | 6.0 | 1.0 | 1.38 | 1.66 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12089 | ატალანტა-რომა | 1.9 | 1.7 |
| 12091 | კალიარი-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 12092 | კიევო-ბოლონია | 1.6 | 2.0 |
| 12096 | მილანი-პალერმო | 1.6 | 2.0 |
| 12097 | პარმა-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 12099 | სამპდორია-ინტერი | 1.9 | 1.7 |
| 12112 | ალბასეტე-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 12113 | ბილბაო-ნუმანსია | 2.0 | 1.6 |
| 12114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.9 | 1.7 |
| 12115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.9 | 1.7 |
| 12116 | ხეტაფე-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 12117 | დეპორტივო-მალიორკა | 1.9 | 1.7 |
| 12118 | ლევანტე-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 12119 | მალაგა-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 12120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 12121 | რეალი-ატლეტიკო | 1.9 | 1.7 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14013 | არმინია-ვოლფსბურგი | 1.8 | 2.0 |
| 14014 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.05 | 2.8 |
| 14015 | ფრაიბურგი-შალკე | 2.6 | 1.15 |
| 14017 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.3 | 2.5 |
| 14018 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.05 | 2.8 |
| 14019 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 2.4 | 1.45 |
| 14020 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.2 | 2.6 |
| 14021 | ნიურნბერგი-მაინცი | 1.7 | 2.2 |
| 14022 | შტუტგარტი-ბაიერნი | 1.7 | 2.1 |
| 14089 | ატალანტა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 14091 | კალიარი-უდინეზე | 2.2 | 1.6 |
| 14092 | კიევო-ბოლონია | 1.7 | 2.1 |
| 14096 | მილანი-პალერმო | 1.6 | 2.1 |
| 14097 | პარმა-სიენა | 1.6 | 2.2 |
| 14099 | სამპდორია-ინტერი | 1.25 | 2.5 |
| 14112 | ალბასეტე-სოსიედადი | 1.8 | 2.0 |
| 14113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.2 | 2.6 |
| 14114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.65 | 2.3 |
| 14115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.3 | 2.5 |
| 14116 | ხეტაფე-სევილია | 2.3 | 1.65 |
| 14117 | დეპორტივო-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 14118 | ლევანტე-ვალენსია | 2.0 | 1.8 |
| 14119 | მალაგა-რასინგი | 1.7 | 2.2 |
| 14120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 2.0 | 1.8 |
| 14121 | რეალი-ატლეტიკო | 1.3 | 2.5 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15013 | არმინია-ვოლფსბურგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15014 | დორტმუნდი-ჰანზა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15015 | ფრაიბურგი-შალკე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15017 | ჰამბურგი-ბოხუმი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15018 | ჰერტა-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15019 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15020 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15021 | ნიურნბერგი-მაინცი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15022 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15089 | ატალანტა-რომა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15090 | ბრეშა-მესინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15091 | კალიარი-უდინეზე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15092 | კიევო-ბოლონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15093 | ლაციო-ფიორენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15094 | ლივორნო-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15096 | მილანი-პალერმო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15097 | პარმა-სიენა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15098 | რეჯინა-ლეჩე | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15099 | სამპდორია-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15112 | ალბასეტე-სოსიედადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15113 | ბილბაო-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15115 | ბეტისი-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15116 | ხეტაფე-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15117 | დეპორტივო-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15118 | ლევანტე-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15119 | მალაგა-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15121 | რეალი-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17013 | არმინია-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ფრაიბურგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | ჰერტა-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ნიურნბერგი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | შტუტგარტი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17089 | ატალანტა-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17090 | ბრეშა-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17091 | კალიარი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17092 | კიევო-ბოლონია | 1.85 | 1.95 |
| 17093 | ლაციო-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ლივორნო-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | მილანი-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17097 | პარმა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17098 | რეჯინა-ლეჩე | 1.85 | 1.95 |
| 17099 | სამპდორია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17112 | ალბასეტე-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 17113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17116 | ხეტაფე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17117 | დეპორტივო-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17118 | ლევანტე-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17119 | მალაგა-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17121 | რეალი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13089 | ატალანტა-რომა | 1.6 | 2.0 |
| 13091 | კალიარი-უდინეზე | 1.7 | 1.9 |
| 13092 | კიევო-ბოლონია | 1.7 | 1.9 |
| 13096 | მილანი-პალერმო | 1.7 | 1.9 |
| 13097 | პარმა-სიენა | 1.7 | 1.9 |
| 13099 | სამპდორია-ინტერი | 1.6 | 2.0 |
| 13112 | ალბასეტე-სოსიედადი | 1.7 | 1.9 |
| 13113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1.7 | 1.9 |
| 13115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13116 | ხეტაფე-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13117 | დეპორტივო-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 13118 | ლევანტე-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13119 | მალაგა-რასინგი | 1.7 | 1.9 |
| 13120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 1.7 | 1.9 |
| 13121 | რეალი-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11013 | არმინია-ვოლფსბურგი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11014 | დორტმუნდი-ჰანზა | 1.5 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11017 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.9 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11019 | კაიზერსლაუტერნი-ვერდერი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11020 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1.6 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11021 | ნიურნბერგი-მაინცი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11022 | შტუტგარტი-ბაიერნი | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11089 | ატალანტა-რომა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11090 | ბრეშა-მესინა | 1.5 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 5.0 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11091 | კალიარი-უდინეზე | 5.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.6 |
| 11099 | სამპდორია-ინტერი | 1.9 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 7.0 |
| 11112 | ალბასეტე-სოსიედადი | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11113 | ბილბაო-ნუმანსია | 1.7 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11114 | ბარსელონა-ვილიარეალი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11115 | ბეტისი-სარაგოსა | 1.8 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11116 | ხეტაფე-სევილია | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.6 |
| 11117 | დეპორტივო-მალიორკა | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11118 | ლევანტე-ვალენსია | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11119 | მალაგა-რასინგი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11120 | ოსასუნა-ესპანიოლი | 4.4 | 10.0 | 20.0 | 5.0 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.3 |
| 11121 | რეალი-ატლეტიკო | 1.9 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |



# ევროპას მსუბუქები იწყებენ

**დღეს** ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში საჭიდაო ტატამი გაიშლება და ხვალიდე ევროპის შვიდი უძლიერესი ძიუდოისტი გამოვლინდება. ორმოცზე მეტი ქვეყნის ნაკრებს შორის, ცხადია, საქართველოს გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია. ტრადიციებითაც და მოქმედ ძიუდოისტთა შედეგებითაც. ამიტომ სპეციალისტთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშიც მოექცევა.

შოთა ხაბარელის შვიდეული ჰოლანდიაში სამი დღის წინ გაფრინდა, მანამდე კი ბაკურიანსა და ლიკანში რამდენიმე მაღალი დონის შეკრება გაიარა. ორი ოლიმპიური მედლის მფლობელ გუნდს როტერდამში წინა ევროპირველობის უშედეგობის გამოსწორებაც მართებს. შარშან რუმინეთში თითქმის ოპტიმალურმა შემადგენლობამ მხოლოდ ერთი მედლის აღება მოახერხა, დავით ქევხიშვილი ბრინჯაოს დასჯერდა.

ხაბარელის გადაწყვეტილებით, წლევანდელ განაცხადში არც ნესტორ ხერგიანია და არც ზურაბ ზვიადაური. ათენის მედალოსნები მწვრთნელმა თან კი წაიყვანა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ პოტენციურ მეტოქეებს დააკვირდნენ, მათი ჭიდაობა კიდევ უკეთესად შეისწავლონ და სექტემბერში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოიყენონ.

ხერგიან-ზვიადაურის მაგივრად მწვრთნელმა შემადგენლობაში ვახტანგ ხოსიტაშვილი (60კგ) და ირაკლი ცირეკიძე (90კგ) დააყენა. ნაკრებში აქამდე ორივეს უჭიდავია და საერთაშორისო ტურნირების მედლებიც მოუგიათ, თუმც ამ დონის შეჯიბრებაზე დებიუტი ექნებათ.

დანარჩენ წონებში ცვლილებები არ მომხდარა. დავით მარგოშვილმა (66კგ), დავით ქევხიშვილმა (73კგ), გრიგოლ მამრიკიშვილმა (81კგ), ივერი ჯიქურაულმა (100კგ) და ლაშა გუჯეჯიანმა (მძიმე) ოლიმპიადაზეც იჭიდავეს და შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზეც.

დღეს ტატამზე ორი უმსუბუქესი წონა გავა და საღამომდე ჩემპიონ-პრიზიორებიც გაირკვევა. ხვალ 73 და 81 კილოგრამიანები იჭიდავებენ, ზეგ კი — 90კგ, 100კგ და მძიმეწონოსნები.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ველორბოლა

## ჯირო დიტალია 2005. 7-29 მაისი

giro d'italia



რობი მაკიუენმა (მარცხნივ) ალესანდრო პეტაკის ფინიშთან ხუთი სანტიმეტრით მიასწრო

**მე-10 ეტაპი. 18 მაისი. რავენა — როსანო ვენეტო. 212 კმ**

| | |
|---|---|
| 1 რობი მაკიუენი (ავსტრალია, ლოტო) | 5 სთ, 29 წთ, 21 წმ |
| 2 ალესანდრო პეტაკი (იტალია, ფასა ბორტოლო) | |
| 3 სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) | |
| 4 ერიკ ცაბელი (გერმანია, T-მობილი) | |
| 5 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | ყველა იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 დანილო დი ლუკა (იტალია, ბიანკი) | 44 სთ, 51 წთ, 40 წმ |
| 2 ივან ბასო (იტალია, CSC) | +9 წმ |
| 3 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი) | +35 წმ |
| 4 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე) | +1 წთ, 15 წმ |
| 5 დარიო დავიდ ჩიონი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 27 წმ |
| 6 სტეფანო გარძელი (იტალია, ბიანკი) | +1 წთ, 35 წმ |
| 10 ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) | +2 წთ, 11 წმ |
| 12 პაოლო ბეტინი (იტალია, ქუიქ სტეპი) | +2; წთ, 25 წმ |
| 68 ალესანდრო პეტაკი (ფასა ბორტოლო) | +16 წთ, 52 წმ |
| 92 რობი მაკიუენი (ავსტრალია, ლოტო) | +27 წთ, 1 წმ |



საქართველოს ჩემპიონატი

# წკაპ-წკუპ ფინალი

## მოსეშვილის გუნდი სტუდენტებისთვის აცია

**ირაკლი პერტაია**

**ესეც** თქვენი ფინალური სერიის მატჩი. არავითარი დაძაბულობა და ნერვიულობა — „ავიამშენმა" გუშინ ლამის მიწასთან გაასწორა „სტუ-ჯეოსელი", რითაც სერიაში ანგარიში 2:2 გაათანაბრა და ახლა ყველაფერი ერთ გადამწყვეტ მატჩზე ჰკიდია, რომელიც 24 მაისსაა დანიშნული.

აბა, ის შეხვედრა რა ფინალის შესაფერისია, რომლის ბოლო ხუთ წუთსაც აზრი დაეკარგება ერთ-ერთი გუნდის მიერ უსაშველო უპირატესობის მოპოვების გამო.

ისე, არც ის თამაში უხდება ფინალს და საერთოდ ჩემპიონატს, რომლის დროსაც მოედანზე წვიმს. მართალია, საკმაოდ პრინციპულ შეხვედრაზე ვწერთ, მაგრამ არც იმის უთქმელობა იქნება, რა უცნაურობაც ამ მატჩს ახლდა, მით უფრო, რომ თამაშის მსვლელობა და საბოლოო შედეგი ამის უფლებას იძლევა.

გუშინ, მოგეხსენებათ, მთელი დღე წვიმდა და, ცხადია, ვერის ბაღიც ილუმპებოდა. უამინდობას გულშემატკივარი არ დაუფრთხია, დარბაზი მაინც პირთამდე შეივსო, მაგრამ ყველას როდი გაუმართლა, დარბაზის სახურავი დაზიანებული ყოფილა და ტრიბუნებზე აქა-იქ წყალი ჩამოდიოდა. ამას ვინ ჩივის, მოედანზეც წურწურით წვეთავდა და თამაში რომ არ ჩაშლილიყო, ორი კაცი მუდმივად იდგა პირით ხაზთან და წუთშესვენებებისა თუ ჯარიმების დროს სახელდახელოდ ამშრალებდა ფიცარნავს.

ამას მატჩის მსვლელობისთვის ხელი თითქმის არ შეუშლია, მაგრამ შესახედად იყო მეტად უსიამოვნო და ცოტა არ იყოს, სასაცილოც.

ერთი სიტყვით, როგორი ორგანიზებულიც იყო, მატჩიც ისეთი გამოვიდა. ამაში შედეგს და დაძაბულობის არქონას ვგულისხმობთ უპირველესად, თორემ „ავიამშენის" თამაშზე მხოლოდ კარგის თქმა შეიძლება.

ლევან მოსეშვილის გუნდმა გამოაჩინა, რომ იოლად გასათელი არ არის. „ავიამშენმა" გუშინ ისე უცებ მოგუდა სტუ, რომ შესაძლოა, გადამწყვეტი მატჩის ფავორიტადაც ჩაითვალოს, მაგრამ... ჯობს, გუშინდელზე მოვყვეთ.

მოსეშვილმა კვლავ ახალი კაცი დააყენა ხუთეულში — გოჩა წოწელია და, როგორც გამოჩნდა, არც წაუგია. პირველივე წუთებიდან „ავიამშენმა" ფარქვეშეთში დაიბუდა და კახა შენგელიასა და თორნიკე ნინიაშვილის ჩაუქრობით მცირე უპირატესობაც მოიპოვა — 8:3. მეორე აღმოჩნდა, რომ საწყის ათწუთეულში არაფერი გაირკვეოდა, რაკი იგი ფრედ დასრულდა და თანაც ისე, არც ერთ გუნდს არ ექნებოდა ოპტიმიზმის საფუძველი.

აი, მეორე მეოთხედში კი კვანძი გაიხსნა. გარდატეხა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „ავიამშენის" უკანახაზელებმა მოახდინეს.

რატომ უნდა იყოს გასაკვირი? იმიტომ, რომ ტექნიკოსთა მთავარი კოზირი მოქნილი და მეტად სწრაფი უკანა ხაზია. ამას ემატება ერთი-ორი სნაიპერი და სხვა კი არაფერია სტუდენტების წარმატების საფუძველი.

ჰოდა, ყველაზე ნაკლებად სავარაუდო ტექნიკოსების ამ რგოლში დაჩაგვრა იყო, თუმცა... ეს კი, ჩვენი აზრით, იმიტომ მოხდა, რომ სტუ მეტოქის ფარზე შებრძოლებას შეეცადა და შესაბამისად, სისწრაფეში დაიჩაგრა. კერძოდ, სტუდენტებმა მოედანზე ორი ნომინალური ცენტრი — ირაკლი ჯაფარიძე და რიჩარდ მათიაშვილი გამოიყვანეს, რითაც „ავიატორთა" მაღლები კი შეაჩერეს, მაგრამ სამაგიეროდ უკანა ხაზი დაუსუსტდათ. ამ დროს „ავიამშენს" მოედანზე ორი გამთამაშებელი და პლუს უმკვირცხლესი ირაკლი ხოშტარია ჰყავდა, რომლებიც მეორე მეოთხედში თავის გუნდს ათქულიანი უპირატესობის მოპოვებაში დაეხმარნენ.

მეორე ტაიმის ახალდაწყებულზე კი სხვაობამ 20 ქულას მიაღწია. სტუ-მ ვეღარ აუწყო ფეხი მეტოქის დაბლებს, ხოლო „ავიამშენის" მეფარეებმა ისევ გაილაღეს და... გადამწყვეტი მეოთხედის წინ სტუ 48:67 აგებდა.

ტექნიკოსები ისედაც გაღაღლილნი ჩანდნენ და ერთ მეოთხედში ამხელა სხვაობის გასაბათილებლად რომ ძალა არ ეყოფოდათ, თითქმის ყველასთვის ცხადი იყო. ასეც მოხდა, სირენამდე 6 წუთით ადრე „ავიატორთა" ლიდერობამ 25 ქულას გადააჭარბა და ყველაფერი აქ დასრულდა.

**სტუ 1:0 ავიამშენი** სამ გამარჯვებამდე

**სტუ 67:90 ავიამშენი**

19:19 17:27 12:20 19:24

| სტუ-ჯეოსელი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| დ. ბერიშვილი | 18 | 3 | 3 | 1 | 2 |
| კეიდია | 11 | 5 | - | - | 4 |
| გაგნიძე | 4 | 2 | - | - | 1 |
| კოხრეიძე | 2 | - | - | - | - |
| შანიძე | 2 | 1 | - | - | 1 |
| მათიაშვილი | 2 | 3 | - | 2 | - |
| მარკოიშვილი | 11 | 4 | 1 | 1 | 2 |
| ჯაფარიძე | 10 | 6 | - | - | 1 |
| გოგობერიშვილი | 3 | 1 | 1 | - | 2 |
| მიქაძე | 4 | 2 | - | 2 | 1 |

| ავიამშენი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| თორთლაძე | 7 | 3 | 4 | 1 | 5 |
| ნიკოლაძე | 10 | 3 | 2 | 2 | 1 |
| ხოშტარია | 13 | 4 | 2 | 1 | - |
| შენგელია | 19 | 9 | 2 | - | 3 |
| წოწელია | 18 | 9 | 1 | 1 | 1 |
| ნინიაშვილი | 9 | 5 | - | - | - |
| ორმოცაძე | 6 | 10 | 2 | 2 | 1 |
| ბოლქვაძე | | - | 1 | - | - |
| ბერძენიშვილი | 4 | 1 | 1 | 1 | 1 |
| აბრამიძე | 4 | - | 3 | - | 1 |

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა




უამინდოდ თამაში ვერ ჩატარდებოდა

## NBA PLAY OFF 2005 მეორე წრე



AFP ფოტოქრონიკა

# ნეშის ფლეში

18 მაისი

**დასავლეთი**

**ფინიქსი 3:2 დალასი**

**ფინიქსი 114:108 დალასი**

**ფინიქსი:** ტერი (17), ფინლი (7), ჰოვარდი (19 ქულა, 10 მოხსნა), ნოვიცკი (34 ქულა, 10 მოხსნა), დამპიე (2 ქულა, 14 მოხსნა); სტეკჰაუზი (29), დანიელსი, არმსტრონგი

**დალასი:** ნეში (34 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი), ჯეკსონი (21), რიჩარდსონი (7), მარიონი (16 ქულა, 10 მოხსნა), სტუდემაიერი (33 ქულა, 18 მოხსნა); ბარბოსა (2), ჰანტერი (1), მაკკარტი

„ჩვენ ვცადეთ ყველაფერი, რაც ადამიანს ხელეწიფება, მაგრამ დღეს ნბა-ს საუკეთესო მოთამაშესთან და გუნდთან მოგვიწია ბრძოლა. სამწუხაროა, რომ სტივ ნეში ჩვენს გვერდით კი არა, ჩვენც წინააღმდეგ თამაშობს" — „დალას მავერიკსის" „პატარა გენერალ" აივერ ჯონსონის ხმაში სასოწარკვეთილებაც კი გამოსჭვიოდა, მიუხედავად იმისა, რომ მის გუნდს კიდევ შერჩენია თავის გადარჩენის შანსი.

სტივ ნეში! კარგი კალათბურთელი „დალასში" თამაშისას და დიდებული „ფინიქსში". ეს ზღაპრული სეზონია მისთვისაც და მისი გუნდისთვისაც, რაც პრინციპში ერთი და იგივეა. გამონაკლისი მხოლოდ ამ სერიის წინა მატჩი იყო, როცა ნეშმა თავის ყოფილ გუნდს 48 ქულა ჩაუგდო და „ფინიქსმა" მაინც წააგო. „სანზის" კანადელ დირიჟორსა და გამთამაშებელს არც ახლა აუღია ხელი „დალასის" კალათზე იერიშებსაგან, მაგრამ, წინა შეხვედრისგან განსხვავებით, თავისი უპირველესი ხელობა, პასების გაცემაც არ დავიწყებია. 12 პასი გაახერხა, ზედ 13 მოხსნაც მიაყოლა და ნიუჯერსელი ჯეი კიდის შემდეგ მეორე მოთამაშე გახდა, წლევანდელ პლეი ოფში სამმაგი დუბლით რომ დაასრულა შეხვედრა. ამასთან ნეშმა მინიმუმ 10-10 ქულა-მოხსნა-პასი უკვე მესამე მეოთხედში დააგროვა...

„დალასი" უნარიანად უტევდა და დაუზარელად იცავდა თავს, მაგრამ მას არ ჰყავდა... „ჩვენ ყველამ გადასარევად ვიცით, რა ოხერი და მოუხელთებელია ნეში" — ამბობს წლების განმავლობაში მისი თანაგუნდელი და უახლოესი მეგობარი, ახლა კი მის პირისპირ დამდგარი დირკ ნოვიცკი.

„მავერიკსის" გერმანელი ბელადი და მისი თანამებრძოლები თავიდანვე გადავიდნენ შეტევაზე და რაღაცას მიაღწიეს. დიდ შესვენებაზე 7-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ, მაგრამ მერე [illegible] რველ ნახევარში ბევრი [illegible] შეგვიქმნა, მეორეში კი [illegible] ამოგვხადა" — ისევ [illegible] სონი.

ნეშმა თავისი 34 [illegible] მე-3-4 მეოთხედებში [illegible] სამეში ერთი [illegible] ბინა თავისიანებს და [illegible] 76:71 დააწინაურა. „დალასის" [illegible] ბრძოლა. მესამე მეოთხედ[illegible] იბრუნა ლიდერობა — [illegible] გუნდები ბოლო შესვენებაზე [illegible] გავიდნენ, მაგრამ დაიწყ[illegible] ყვეტი 12-წუთიანი [illegible] ერთმა ყოფილმა დალასელმა [illegible] გუნდში 1992-96 წლებში [illegible] შე ჯიმ ჯეკსონმა გამ[illegible] ზედიზედ სამი ბურთი [illegible] მონაკვეთი 9:0 მოიგეს [illegible] და 85:77 წინ გაჭრილი [illegible] 4 ქულაზე ახლოს აღარ [illegible] სტუმრები.

მაშ ასე, „ფინიქსი" [illegible] ურდა და სტატისტიკა [illegible] რომ სერიებში 2:2 [illegible] შემდეგ მეხუთე თამაშის [illegible] გუნდს 123 შემთხვევიდან [illegible] საბოლოო გამარჯვებით [illegible] ლებია სერია.

**კოტე ყორშია**

## 2004-05 წლების რეგულარული ჩემპიონატის ლაურეატები და სიმბოლური გუნდები

**გუშინ** ნბა-მ დაასახელა სამი სიმბოლური ხუთეული და ამით დასრულა 2004-05 წლების რეგულარული ჩემპიონატის სიმბოლური გუნდებისა და პირადული ტიტულების შედგენა-დარიგება.

პირველ ხუთეულში თავისთავად ულაპარაკოდ მოხვდა „ფინიქს სანზის" კანადელი გამთამაშებელი, რეგულარული სეზონის უძვირფასესი მოთამაშე სტივ ნეში. საზოგადოდ, „ფინიქსი" სამი მოთამაშითაა წარმოდგენილი ამ გუნდებში. ამარე სტუდემაიერი მეორე ხუთეულში მოხვდა, შონ მარიონი კი მესამეში.

პირველ ხუთეულში ნეშის გვერდით ჩაჯდნენ ფილადელფიელი ალენ აივერსონი (მესამედ), დალასელი დირკ ნოვიცკი (პირველად), მაიამელი შაკილ ონილი (მეშვიდედ) და სანანტონიოელი ტიმ დანკანი (მერვედ). აღსანიშნავია, რომ დანკანი სწორედ რვა წელია, ნბაში თამაშობს და პირველი ხუთეულის გარეშე ერთხელაც არ დარჩენილა. ასეთი რამ მანამდე მხოლოდ ოთხ კაცს მოუხერხებია — ლარი ბერდს, ჯორჯ მაიკენს, ბობ პეტიტს და ოსკარ რობერტსონს.

ამ სამი რჩეული ხუთეულის 15 მოთამაშიდან მხოლოდ სამი გახლავთ ისეთი, ვისი გუნდებიც პლეი ოფში ვერ მოხვდნენ — კევინ გარნეტი (მინესოტა, II), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი II) და კობი ბრაიანტი (ლეიკერსი III).

**ნბა-ს პირველი ხუთეული**
სტივ ნეში (ფინიქსი)
ალენ აივერსონი (ფილადელფია)
დირკ ნოვიცკი (დალასი)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
შაკილ ონილი (მაიამი)

**მეორე ხუთეული**
დუეინ ვეიდი (მაიამი)
რეი ალენი (სიეტლი)
ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)
კევინ გარნეტი (მინესოტა)
ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)

**მესამე ხუთეული**
ჯილბერტ არენასი
კობი ბრაიანტი
შონ მარიონი
ტრეისი მაკგრეიდი
ბენ ვოლესი

**უძვირფასესი მოთამაშე**
სტივ ნეში (ფინიქსი)
**საუკეთესო მწვრთნელი**
მაიკ დანტონი (ფინიქსი)
**საუკეთესო დამცველი**
ბენ ვოლესი (დეტროიტი)
**საუკეთესო ახალბედა**
ემეკა ოკაფორი (შარლოტი)
**მეექვსე მოთამაშე**
ბენ გორდონი (ჩიკაგო)
**ყველაზე გაუმჯობესებული**
ბობი საიმონსი (კლიპერსი)

**დაცვის პირველი ხუთეული**
ლარი ჰიუზი (ვაშინგტონი)
ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო)
კევინ გარნეტი (მინესოტა)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
ბენ ვოლესი (დეტროიტი)
**მეორე ხუთეული**
ჩონსი ბილაპსი (დეტროიტი)
ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) და დუეინ ვეიდი (მაიამი)
ტაიშონ პრინსი (დეტროიტი)
ანდრეი კირილენკო (იუტა)
მარკუს კემბი (დენვერი)

**ახალბედების პირველი ხუთეული**
ბენ გორდონი
ანდრე იგუდალა
ლუოლ დენგი
ემეკა ოკაფორი
დუაიტ ჰოვარდი
**მეორე ხუთეული**
ჯამეერ ნელსონი
ჯოშ სმიტი
ჯოშ ჩილდრესი
ალ ჯეფერსონი
ნენად კრსტიჩი


სტივ ნეში


ალენ აივერსონი


დირკ ნოვიცკი


ტიმ დანკანი


შაკილ ონილი

# ვერცხლით საღერღელაშლილები

**გუშინწინ კიევში გასრულებულ წყალბურთელთა უკრაინის ღია ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მატჩებში საქართველოს წარმომადგენელთა შედეგებზე და იქ მოპოვებულ ვერცხლის მედლებზე უკვე ვიუწყებოდით, ახლა კი ჩვენი გუნდის უფროს მწვრთნელ იოსებ მაისურაძესთან გუშინდელ საუბარს გაგაცნობთ**



ვერცხლის ბიჭების ერთი ჯგუფი

ბადრი კეთილაძის ფოტო

— ვერცხლის მედლებისკენ მიმავალ გზაზე თქვენი გამარჯვებები დამარცხებებს გაცილებით სჭარბობდა როგორც წინა ტურებში, ისე დასკვნითშიც, მაგრამ ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა, იქნებ წაგებულ ბრძოლებზე საუბარი უფრო საინტერესო იყოს.

— წაგებულ შეხვედრებსაც ანალიზი უნდა და მოგებულსაც, რათა სამომავლოდ ყოველივე გავითვალისწინოთ, მაგრამ ახლა კიევში ტურის პირველ მატჩში ლვოვის „დინამოსთან" ჩვენი მინიმალური ანგარიშით დამარცხება (7:8) რამ განაპირობა, ჯერ ვერ ამიხსნია, თუმცა, მეც და თავად წყალბურთელებიც გამარჯვებაში დარწმუნებულნი ვიყავით. მართლაც, ერთი შეხედვით ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით რაც შეიძლება მეტი ბურთის გასატანად. მეტოქის კართან უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ბურთი მხოლოდ შვიდჯერ გავიტანეთ, მეტოქემ კი ეს რვაჯერ მოახერხა. ამ შეხვედრისას ჩვენს სასარგებლოდ გაცილებით უფრო ხშირად იყო რიცხობრივი უპირატესობა, რომლის დროსაც შეტევა გაცილებით იოლია და იგი ჩვეულებრივ გოლით თავდება, მაგრამ რაღაც ჭირდა ლვოველებთან ეს 80 პროცენტის შემთხვევაში ვერ მოვახერხეთ.

სავარაუდოდ, ეს ცუდი ჩვევა ამ ბოლო დროს ტურის პირველ მატჩებში დაგვჩემდა. რამდენიმე დღით ადრე სტამბოლშიც ასე იყო, ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ასევე დავმარცხდით სლოვენიელებთან, რომლებთანაც წესით და რიგით უნდა მოვეგეთ.

**— ლვოველებთან თუ მინიმალური ანგარიშით წააგეთ, მარიუპოლის პირველ გუნდთან, შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთლად ვერაფერს გახდით.**

— ეს შეხვედრა 6:12 წავაგეთ. თუმცა, თავიდანვე ვიცოდით, რომ მათთან შეხვედრას არავინ მოგვაგებინებდა. მარიუპოლის პირველი გუნდი პრაქტიკულად მთელი უკრაინის ნაკრებია: მისი შემადგენლობის თითქმის 90 პროცენტი ნაკრების წევრია და ამ ჩემპიონატსაც ბოლომდე ერთპიროვნულად ლიდერობდა. ამ გუნდისთვის ქულის დაკარგვაც კი არ შეიძლება. მას ყველა თან ევლება და, როგორც იტყვიან, თან ჰყვება. გუნდის თითოეულ წევრს ისეთი სტიპენდია აქვს, ჩვენ რომ არ დაგვესიზმრება. თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ უკრაინის ჩემპიონატი პლეი ოფით დასრულდებოდა, მაგრამ ეს სწორედ მარიუპოლის პირველი გუნდისთვის გააუქმეს და მასთან ერთად ფრეს შესაძლებლობაც. მიუხედავად ამისა, მარიუპოლელებთან საბრძოლველად გავედით და იოლად დანებებას სულაც არ ვაპირებდით, მაგრამ დაიწყო თუ არა შეხვედრა, არბიტრებმა უმალ გვაგრძნობინეს, არაფერი გამოგივათო. მსაჯთაგან განსაკუთრებით ერთი დნეპროპეტროვსკელი, გონჩაროვი აქტიურობდა. როცა დავრწმუნდი, რომ მართლაც ვერას გავხდებოდით, გუნდის ძირითადი ბირთვი აუზიდან ამოვიყვანე, რათა მომდევნო ბრძოლებისთვის ენერგია დაეზოგა და წყალში მეორე შემადგენლობა ჩავუშვი.

**— ის პირველი მარცხი, ლვოველებთან, მსაჯთა მიკერძოებამაც ხომ არ განაპირობა?**

— არა, ჩვენ იმ მარცხს მსაჯებს ვერაფრით გადავაბრალებთ. ყველა სხვა შეხვედრაში, როგორც ამ დასკვნით ტურში, ისე მის წინამორბედებში, ობიექტური მსაჯობა იყო, თუმცა, იყო ერთი პატარა ეშმაკობა: ტურის ბოლო მატჩი მოლდოველებთან ყველაზე გვიან უნდა გვეთამაშა. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ ვერცხლის მედლებს ვლებულობდით და ასეც მოხდა, რაკილა მეტოქეს იოლად ვძლიეთ (14:6), მაგრამ თუ ამ ბრძოლას წავაგებდით, მეორე ადგილზე ლვოველები გადიოდნენ. ამიტომ ბოლო დღის შეხვედრათა განრიგი შეცვალეს, ბოლოსთვის ლვოველთა გამოსვლა შემოინახეს, ჩვენ კი დასაწყისში გვათამაშეს, რათა მეტოქის ამოცანა გარკვეული ყოფილიყო. თუმცა, ამ პატარა ეშმაკობის გამო მასპინძლებზე აუგს ვერაფრით ვიტყვი. ჩვენი ჩემპიონატი რომ ყოფილიყო, ალბათ ჩვენც ასე მოვიქცეოდით.

**— უკრაინის ჩემპიონატის სხვადასხვა ტურში სხვადასხვა შემადგენლობით გამოდიოდით, ბოლოს, გადამწყვეტ ეტაპზე ვის მოუყარეთ თავი?**

— მართალია, ამ გუნდს საქართველოს ნაკრებს ვუწოდებთ, მაგრამ მისი წევრები თბილისელები არიან თანაც ახალგაზრდული ასაკისანი. კიევურ ბოლო ტურში იყვნენ: ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, სანდრო ხვედელიანი, გალაქტიონ ლაითაძე, მიხეილ ბაღათურია, ნოდარ რაფავა, ზურაბ რურუა, გიორგი ცირეკიძე, ტატო ნიკოლეიშვილი, კოტე ჯაგგალაშვილი, დავით ბაქრაძე, სანდრო რუსიშვილი და სანდრო ნამორაძე. ამ თოთხმეტივე წყალბურთელმა ვერცხლის მედალი მიიღო. პრიზიორთათვის თხუთმეტ-თხუთმეტი მედალი იყო დაწესებული. ის მეთხუთმეტეც გადმოგვცეს და იგი ილია ბუტიკაშვილისთვის ჩამოვიტანეთ. ილია ლეგიონერია და, ჩვენდა სამწუხაროდ, იგი არც კიევური ტურისთვის გამოუშვეს და არც სტამბოლური ევროპის პირველობისთვის. თუმცა, უკრაინის ჩემპიონატში საბოლოო წარმატებისთვის მანამდე თავდაუზოგავად იბრძოლა, როგორც ცენტრალურმა თავდამსხმელმა.

აღსანიშნავია, რომ ავადმყოფობის გამო ახლა გუნდში, ისევე როგორც სტამბოლში, არ გვყავდა ამავე აშპლუის მოთამაშე დავით ბიბილაშვილი, რომელმაც საერთო წარმატებაში თავისი წვლილი წინა ტურებში შეიტანა ისევე, როგორც გიორგი მახარაძემ და თამაზ მანძულაშვილმა.

***

ეტყობა, ჩვენს წყალბურთელებს უკრაინის ჩემპიონატში მოპოვებულმა წარმატებამ საღერღელი აუშალა და ახლა ისინი ივნისში იქაური თასისთვის სევასტოპოლში ბრძოლასაც აპირებენ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



# გამტკბარი ამსტერდამი



ირაკლი ბართაია

ბადრი კეთილაძის ფოტო

**საქართველოს ნორჩ, იუნიორი თუ ახალგაზრდა წყალში მხტომელებს, ეტყობა, ძალზე გაუტკბათ ამსტერდამის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ყოველ შემთხვევაში, ეს ტურნირი ახლა მეთერთმეტედ ჩატარდა, საქართველოს წყალში მხტომელები კი მასში მეათედ გამოვიდნენ და, როგორც გასულ წლებში, ახლაც მნიშვნელოვანი ნადავლით დაბრუნდნენ.**

საქართველოს წყალში მხტომელებიო, კი ვამბობთ, მაგრამ ვგულისხმობთ თბილისელებს, რომლებიც ამ სახეობაში ეულად ეწევიან ჩვენი ქვეყნის ჭაპანს. მიუხედავად ამისა, თბილისელებმა ამსტერდამიდან ორ-ორი ოქროს, ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

— თოთხმეტ წლამდე ასაკის სპორტსმენებში თეონა ყაჭეიშვილმა ყველას აჯობა 5-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში, ხოლო 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში მეორე იყო.

შოთა კორახაშვილმა თავი გამოიჩინა თექვსმეტ წლამდე ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში, სადაც 7-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ჩემპიონი გახდა.

თხუთმეტი წლის ჭოლა ჭანტურია თავისზე სამი წლით უფროსთა პაექრობაში ჩაება, მაგრამ ამის მიუხედავად 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

— ამ ტურნირზე სპორტსმენები ტრადიციისამებრ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებად კი იყვნენ დაყოფილნი, მაგრამ უმცროსებს, თუ მოისურვებდნენ, უფროსთა შეჯიბრებებშიც შეეძლოთ გამოსვლა — გვეუბნება საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი ირაკლი ბართაია — თუმცა, ასპარეზობის პროგრამაში იყო ერთი გამონაკლისი — სინქრონული ხტომა, სადაც სპორტსმენები ასაკობრივ ჯგუფებად არ დაუყვიათ. ამ სახეობაში ძირითადად 18 წლამდე ასაკის წყალში მხტომელები გამოდიოდნენ. ამიტომ ჭოლა ჭანტურიასა და მის მეწყვილე გიორგი გევორქიანს კვლავ უფროსებში მოუხდათ გამოსვლა და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირში 32 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ, მეხუთე ადგილზე გავიდნენ, რაც მათთვის არანაკლები წარმატებაა.

ისიც საინტერესოა, რომ ამსტერდამში ჩვენი ხუთი სპორტსმენი გამოდიოდა მაშინ, როცა სხვებს გუნდებში ორჯერ და სამჯერ მეტი წყალში მხტომელი ჰყავდათ. ბუნებრივია, ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში ძნელი იყო საერთო გუნდურ პირველობაში საპრიზო ადგილზე გასვლა, მაგრამ მეხუთე ადგილის დაკავება მაინც მოვახერხეთ. გუნდური პირველობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ოფიციალურად რომ ჩატარებულიყო, ჩვენი იუნიორები მეორე ადგილზე გავიდოდნენ, რადგან არაოფიციალურ ჩათვლაში სწორედ ასეთი შედეგი აღმოგვაჩნდა.

ასე იყო თუ ისე, ეს შეჯიბრება ჩვენ წყალში მხტომლებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ, რაც მათ მოსკოვში, აგვისტოში გასამართი ევროპის პირველობისთვის ძალზე წაადგებათ.

სამოსკოვო სამზადისისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება გერმანიისა (ვალტკრაიბურგი) და ესპანეთის (ბარსელონა) საერთაშორისო ტურნირები, რომლებიც ივნისსა და ივლისში გაიმართება.



ბადრი კეთილაძის ფოტო

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ჭადრაკი

# ნინოს საფინიშო სპურტი

**გუშინ** თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა 62-ე ჩემპიონატი დასრულდა. გათამაშებაში 14 მანდილოსანი მონაწილეობდა და ჩემპიონი 9,5 ქულით ნინო ხურციძე გახდა.

ჩემპიონატის დასკვნით ტურებში ცხრილის ზედა საფეხურზე ხურციძე და მაია ლომინეიშვილი იყვნენ, თუმცა ბოლო ტურებში ნინომ უფრო იყოჩაღა და ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

დებულების თანახმად, ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილის თასის ფინალში დაიშვება. I-II ადგილოსნები საქართველოს ნაკრებში ითამაშებენ, პირველი სამეული კი ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე გაემგზავრება და მომავალ 63-ე ჩემპიონატზეც დაიშვება.

ტურნირის საპრიზო ფონდი 4 ათასი ლარი იყო და იგი ხუთ საუკეთესოზე განაწილდა, საპრიზო ადგილებზე კი გავიდნენ:

1 ნინო ხურციძე (9,5 ქულა),
2 მაია ლომინეიშვილი (8,5)
3 ანა მათნაძე (8).

**ლუშა გეგეჭკორი**

## მ-ტელ მასტერსის ტურნირი

### სოფია. ბულგარეთი. 11 - 22 მაისი

**VI ტური**

რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 1:0
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 1:0
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 1:0

# მასპინძელმა ინდოელს ინდურად მოუგო



დასვენების დღეს ტოპალოვი ბულგარეთის სპორტის მინისტრს ვასილ ივანოვ-ლუსიანოვს ეთამაშა

**მეექვსე** ტურში მ-ტელ მასტერსზე ყველაფერი აირია. ვისი ფიგურა ვის დაფაზე მოხვდა, ვერ გაიგებდა კაცი.

ამ ტურამდე ერთი დღე უქმედ იყო გამოცხადებული და დასვენებულმა მოჭადრაკეებმაც დაუნდობელი ბრძოლა გაუმართეს ერთმანეთს. მოგება თეთრებს დარჩათ, მათ შორის კი ყველაზე მეტად უკრაინელმა დიდოსტატმა რუსლან პონომარიოვმა იხეირა, ორ ტურში ორი მოგებით ბოლო ადგილიდან პირველზე აინაცვლა.

ფიდეს ექსჩემპიონმა კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონს 45 სვლაში მოუთავა საქმე. პონომარიოვმა ლაზიერის გამბიტით არჩია კრამნიკთან ბრძოლა, თუმცა მალევე რუსის იერიშის მოგერიება მოუხდა და დაცვით თამაშზე აეწყო. მე-11 სვლაზე როქი გააკეთა. კრამნიკი მარცხენა ფლანგიდან პაიკებით მიაწვა პონომარიოვს, თეთრი ხელმწიფის წინ მდგარი კედელი მიუნგრია და ლაზიერ-ეტლებით უფრო დიდი დარტყმისთვის მოემზადა. უკრაინელმა ადვილად გაშიფრა რუსის ვერაგული გეგმები, ეტლით იერიშზე გადავიდა და 29-ე სვლაზე მეტოქეს კუ ააცალა. ფიგურით დაწინაურებული პონომარიოვი უფრო თამამად შეუდგა ბრძოლას. კრამნიკმა მარცხენა ფლანგიდან პაიკების გაყვანა დაიწყო, თუმცა რიცხვმრავალ მტერთან ვერაფერს გახდა და დანებება არჩია.

როგორც იქნა, იმარჯვა მასპინძელთა იმედმა ტოპალოვმა. დასვენების დღეს ბულგარელი დიდოსტატი თავისი ქვეყნის სპორტის მინისტრ ვასილ ივანოვ-ლუსიანოვს შეხვდა, მასთან ერთად საჭადრაკო სექციის გახსნას დაესწრო და პარტიაც ეთამაშა. ჩვენთვის უცნობია იმ პარტიის შედეგი, თუმცა ფაქტია, შეხვედრის შემდეგ ბულგარელი უფრო გამოცოცხლდა და მეორე დღეს პირველი გამარჯვებაც იზეიმა.

ტოპალოვმა ანანდი ძველინდურ პარტიაში დაამარცხა. მეტოქეებმა მშვიდად დაიწყეს შეხვედრა, წინა ხაზების გაძლიერებას შეუდგნენ და მე-9 სვლაზე ეტაკნენ ერთმანეთს. შეტაკებაში ბულგარელმა იძალა, მარჯვენა ფლანგიდან მხედრით მიაწვა მეტოქეს და პაიკით დაწინაურდა. ხარისხით წინ გასული ტოპალოვი უფრო ყოჩაღად შეუდგა გაცვლებს, უპირატესობა კიდევ განიმტკიცა და 52-ე სვლაზე ქულა მოიპოვა.

ამდენივე სვლა დასჭირდა ტურნირის ერთადერთ მანდილოსან პოლგარს, რათა აწ უკვე ყოფილი ლიდერი ადამსი დაემარცხებინა. უნგრელმა ქალბატონმა ადამიანი-ობობა რუსულ პარტიაში შემუსრა.

**ლუშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 3,5 ქულა |
| 2. | მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 3 |
| 3. | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 3 |
| 4. | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 3 |
| 5. | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 3 |
| 2. | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 2,5 |



52-ე სვლაზე ტოპალოვმა ანანდი დააყუმბარა

## ფრენბურთი

# მშვენიერი მაურიცია აღშფოთებულა



**იტალიელი** მაურიცია კაჩატორი ფრიად მომხიბვლელი ქალბატონია, თუმცა ეს მისი მთავარი ღირსება სულაც არ გახლავთ. მაურიცია ფრენბურთსაც გვარიანად თამაშობს და ვარსკვლავადაც ითვლება. სწორედ ამის და არა მისი ლამაზი თვალების გამოა, რომ კაჩატორის რამდენიმე კლუბი ეპატიჟება.

იტალიის, ბრაზილიისა და ესპანეთის კლუბებს სპორტსმენის ხილვა თავიანთ რიგებში სურთ, თუმცა ყველაზე მეტი შანსი ესპანურ „მარიჩალ ტენერიფეს" აქვს. ტენერიფული კლუბი ცოტა ხნის წინ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, თუმცა მაურიციას არც მისი ფული ხიბლავს და არც ტიტულები. მისი არჩევანი „ტენერიფეზე" სიყვარულის გამო შეჩერდა. იქაურ კლუბ „უნელკოში" მისი მიჯნური სანტი ტოლედო თამაშობს.

მაურიცია ხშირად ქალთა უფლებების დამცველადაც გვევლინება. „ბერგამო" — „ჯესის" თამაშისას მსაჯმა მოედნიდან ოპერატორი გააგდო, რადგან იგი ქალებს მეტად პიკანტურ პოზებში „იჭერდა". აღშფოთებულმა მაურიციამ განაცხადა: ფრენბურთელი ქალები ისეთივე დისკრიმინაციის მსხვერპლნი ვართ, როგორც ავღანელი ქალები, რომელთაც ფარაჯის ტარებას აიძულებენო.

**ლადო ფულუკიძე**

## კრივი


ეროვნული ბიბლიოთეკა

დონ კინგი — კრივის გაქნილი დიდკაცი

# გადაგდებულის შურისძიება

**ჯონ** რუისის პრომოუტერმა, არტურ პელულომ ახლახან გვარიანი სასამართლო პროცესი მოიგო. ხუმრობა ხომ არაა, ისეთ ხარბ, გაქნილ და ფინანსური მამაძაღლობებით ცნობილ კაცს, როგორიც დონ კინგია, 5,38 მილიონი დოლარი წაჰგლიჯო. აკი მოსამართლესაც შეუქია პელულო, აფერუმ შენს ვაჟკაცობას, ასეთ პროცესში მონაწილეობა რომ გაგიბედავსო.

საქმე კი ის გახლავთ, რომ დონ კინგს, მრავალთა მსგავსად, თავის დროზე არტურ პელულოც გაუცურებია. 1996 წელს არტური ჯონ რუისის ექსკლუზიური პრომოუტერი გახდა, 2 წლის შემდეგ კი კინგს შესთავაზა, რუისის საქმეებს მხარდამხარ გავუძღვეთო. ცნობილი თაღლითი და კრივის დიდკაციც დათანხმდა, თუმცა 1998 წლის მაისში პელულოს მხარი აქცია და რუისთან თავად [illegible] რმა ექსკლუზიური კონტრაქტი [illegible] ხნის განმავლობაში კი ჯონის ბრძოლებიდან შემოსულ თანხას [illegible] თპიროვნულად ისაკუთრებდა და მოკრივის ყოფილი პრომოუტერისთვის ცენტიც არ გადაუხდია. მარტივად რომ [illegible] კინგმა არტური „გადააგდო".

პელულოსაც ეს [illegible] ლში ამოუყვიდა, „გადაძვა" [illegible] ვლა და სასამართლოს [illegible] დაამტკიცა, რომ დონ [illegible] სწორედ ის თანხა [illegible] ლიც ზემოთ დავასახელეთ.

ახია კინგზე, ეგებ [illegible] მაინც შეურიგდეს „სინდისს", თუმცა ესეც საეჭვოა. ამ კაცს [illegible] რი გზებით იმდენი აქვს ნაშოვნი, რომ შეიძლება, 5 მილიონის დაკარგვა მეორე დღეს აღარც გაახსენდეს.

**ლადო ფულუკიძე**

# მოკითხვა იდიოტებს ტონის რეაქცია

30 აპრილს WBA ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ჯეიმს ტონი გახდა, რომელმაც რინგზე ტიტულის მფლობელი ჯონ რუისი გალახა.

ბრძოლის შემდეგ ტონიმ წესისამებრ საჩემპიონო ქამარი მოირგო და გაიხარა კიდეც. თუმცა მის სიხარულს დიდი დღე არ ეწერა. მოკრივეს ანალიზები ჩააბარებინეს და ცოტა ხნის წინ ტესტის პასუხიც მიიღეს. აღმოჩნდა, რომ ჯეიმს ტონის სისხლი დიდი რაოდენობით შეიცავდა ნანდროლონს, რომელიც ანაბოლიკთა ჯგუფში შედის, დოპინგად ითვლება და აკრძალულია. ეს ნივთიერება სისხლში ვერ მოხვდება, თუ სპორტსმენმა შეგნებულად არ მიიღო.



ჯომს რუისი

WBA-ს ბევრი აღარ უფიქრია და მამაძაღლობაში ნამხილ ჯეიმს ტონის საჩემპიონო ქამარი წაჰგლიჯა, რომელიც მის ყოფილ მფლობელს, [illegible] რუისს გადაეცა, რუისი კვლავ ჩემპიონად შერაცხეს, ბრძოლა კი ბათილად გამოცხადდა.

ჯონ რუისის ადვოკატი WBA-ს გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა და ისიც კი აღნიშნა, წინადადება შემომაქვს, ტესტები მოკრივეთა შორის უფრო ხშირად და მკაცრად ჩატარდესო.

გაწბილებულმა და უკმაყოფილოდ დარჩენილმა ჯეიმს ტონიმ კი ისღა მოახერხა, რომ WBA გამოეცხადებინა „მოკითხვას გადავცემ ყველა იმ იდიოტს, ვინაც ჩემი გაჩემპიონება ვერ მოინელა" — ასეთი იყო ტონის რეაქცია.

**ლადო ფულუკიძე**



# ცის ძმობა

უკრაინაში ცნობილი „ცის ძმობის“ თასი მიმდინარეობს. საჰაერო ბურთების ტრფიალთა 20 გუნდი მთელი ევროპიდან ერთმანეთს ეჯიბრება და ემეგობრება. კარგი საცქერია.

# სქოთური სალამი

იტალიაში გრძელდება 88-ე ჯირო, განთქმული ველორბოლა. მრბოლელებს ამის დრო ნამდვილად არ ჰქონდათ, რომ ამ ტრადიციული შოტლანდიური სალამისთვის ყურადღება მიექციათ. შემთვრალ სქოთებს კი ხასიათი კიდევ უფრო გამოუსწორდათ.



# იყიდება

პეკინში უკვე გვარიანად გახურდა ოლიმპიური სიმბოლიკით ვაჭრობა. ჩინეთის მთავრობა ბარე 20 მილიარდ შემოსავალს ელის ოლიმპიური ნივთების გაყიდვით.





# კაშკაიშის ნავსადგომში

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ნაოსანთა გუნდის „დესაფიოს“ წევრებს ეხვევა. პორტუგალიურ კაშკაიშში სულ მალე დაიწყება ლაურუსის რეგატა და მეფეც თავისიანებს ქომაგობს. თანაც, „დესაფიო“ ამერიკის თასის გუნდია.

# აი, ქალი

დანიკა პატრიკი თავის საქმეში ახალბედაა, მაგრამ ის ამბავი, რომ „ინდიანაპოლის 500“-ის ტრასაზე უნდა გაიყვანოს მანქანა, დიდი ამბავია. ისტორიაში ის პირველი ქალია, ასეთი მაღალი ადგილი რომ უჭირავს სტარტზე.




სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნახობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge